

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი

პრობლემები სასამართლო სისტემაში

2022

Contents

პრობლემების მოკლე შეჯამება	5
1. სასამართლოს დამოუკიდებლობა	10
2. საქართველოს სასამართლო სისტემის ზოგადი მდგომარეობა ყოველწლიური საერთაშორისო შეფასებების მიხედვით	13
3. სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა	15
4. კორპორატივიზმი სასამართლო სისტემაში	16
5. ძალაუფლების კონცენტრაცია	23
6. მოსამართლეთა დანიშვნა	24
7. მოსამართლეთა დაწინაურება	29
8. საკადრო კრიზისი სასამართლოში, მოსამართლეთა დატვირთულობა, საქმეთა გაჭიანურება და მართლმსაჯულების ხარისხი	31
9. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა	33
10. სამოსამართლო თვითმმართველობა	34
11. სასამართლოს თავმჯდომარეები	35
12. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები	37
13. მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება	38
14. მოსამართლეთა სოციალური უზრუნველყოფა	40
15. ნეპოტიზმი სასამართლოში	40
16. მოსამართლეთა ასოციაცია	41
17. კორუფცია სასამართლოში	41
18. იუსტიციის უმაღლესი სკოლა	42
19. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა	43
20. სასამართლო რეფორმის გაღების განხორციელებისას დაშვებული შეცდომები	43

კვლევა განხორციელდა დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის მიერ სასამართლოს შესახებ დღემდე არსებულ კვლევებზე, სტატიებზე და სხვა ღია წყაროებზე დაყრდნობით. ასევე ჩაგარდა გასაუბრებები მართლმსაჯულების სექტორში გამოცდილების მქონე პროფესიონალებთან ყოფილ მოსამართლეებთან, ადვოკატებთან, პროკურორებთან.

წინამდებარე კვლევაში სასამართლოში არსებული პრობლემები განხილულია თემატურად. კვლევის თავში მოცემულია პრობლემების მოკლე ჩამონათვალი, ხოლო შემდეგ თითოეული პრობლემა განმარტებულია შესაბამისი წყაროების მითითებით.

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი მართლმსაჯულების სისტემის პროფესიონალებისგან (ადვოკატები, ყოფილი მოსამართლეები, სამართლის ექსპერტები) შემდგარი ჯგუფია, რომლის მიზანია საქართველოს სასამართლო სისტემის გაჯანსაღება საზოგადოებასთან დიალოგის და ადვოკატირების გზით.

პრობლემების მოკლე შეჯამება

წინამდებარე კვლევაში გამოიკვეთა სასამართლო სისტემაში არსებული შემდეგი პრობლემები:

1. სასამართლოს დამოუკიდებლობის ნაკლებობა, კორპორატივიზმი და ძალაუფლების კონცენტრაცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში:

- საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე საქართველოში გატარებულმა ვერც ერთმა სასამართლო რეფორმამ ვერ უზრუნველყო დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა.
- 2012 წლამდე სასამართლო სისტემა ვერტიკალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, რომელიც პირდაპირ ერეოდა სასამართლო სისტემის მართვის, ასევე საკადრო პოლიტიკასა და მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებში. ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს სასამართლო სისტემაში ჩამოყალიბდა მოსამართლეთა ჯგუფი (კლანი), რომელიც სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მექანიზმებით აკონტროლებს სასამართლო სისტემას და ერევა მართლმსაჯულების განხორციელებაში.
- 2012 წლიდან სასამართლო სისტემის მმართველი ფენა (კლანი) ფარულ გარიგებაში შევიდა ქართული ოცნების ხელისუფლებასთან. ამ გარიგების შედეგად ქართულმა ოცნებამ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებით შეუქმნა სასამართლო სისტემას გარკვეული ავტონომია საკადრო და მმართველობით საკითხებში, ხოლო თავად მოიპოვა კონტროლი პოლიტიკურად მნიშვნელოვან საქმეებზე.
- ძალაუფლება სრულად კონცენტრირებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში, რომელშიც ხმათა უმრავლესობა მუდმივად აქვს კლანს. დამატებით, კლანი, იუსტიციის საბჭოს მეშვეობით აკონტროლებს საბჭოს გარეთ არსებულ ისეთ ორგანოებს, როგორებიცაა იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მოსამართლეთა კონფერენცია, სადისციპლინო ორგანოები, ყველა დონის სასამართლოს თავმჯდომარეები და სასამართლო სისტემის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა სპეციალური დეპარტამენტის მეშვეობით.
- 2015 წლიდან დღემდე კლანი ინარჩუნებს ხმების ე.წ. „საკონტროლო პაკეტს“ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რაც საკმარისია ყველანაირი გადაწყვეტილების მისაღებად.

2. სასამართლოს მიმართ ნდობის ნაკლებობა:

სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობა კვლავ დაბალია. ნდობის თვალსაზრისით სასამართლო სხვა საჯარო ინსტიტუტებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილს იკავებს.

3. მოსამართლეთა დანიშვნა:

- 2012 წლიდან დღემდე უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა გაუვიდა თითქმის ყველა მოსამართლეს. გადანიშვნის მიზნით მათი უმრავლესობა იძულებული გახდა გარკვეულ (ამკარა ან ნაგელისხმევ) ალიანსში შესულიყვნენ სასამართლო სისტემის მმართველ ჯგუფთან - კლანთან. კლანსა და მოსამართლეებს შორის შეთანხმება გულისხმობს მოსამართლეების მხრიდან კლანის მმართველობის მხარდაჭერას ან მისადმი ლოიალობას. ის

მოსამართლეები, რომლებმაც უარი თქვეს კლანთან გარიგებაზე ან კლანს ღიად დაუპირისპირდნენ დარჩნენ სასამართლო სისტემის გარეთ.

- ქართულმა ოცნებამ მემკვიდრეობით მიიღო საკმაოდ დაბალი სანდოობის მქონე სასამართლო კორპუსი. ნაცვლად იმისა, რომ სასამართლო გაწმენდილიყო დისკრედიტირებული კადრებისაგან და შეესებულებოდა ახალი, მათ შორის მაღალი რეპუტაციისა და პროფესიონალიზმის მქონე კადრებით, უვადოდ დაინიშნენ და დაწინაურდნენ მოსამართლეები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს გამოირჩეოდნენ პოლიტიკური დაკვეთების შესრულებით.
- სასამართლო სისტემა ჩაიკეტა: სასამართლო სისტემაში ახალი კადრების შედინება ძირითადად სასამართლო აპარატიდან - თანამშემწე, მდივნებიდან და კანცელარიის თანამშრომლებიდან ხორციელდება, რაც ხელს უშლის სასამართლო სისტემის გარდაქმნას მართვის კორპორატივისგული სტილიდან დამოუკიდებელი ინდივიდუალური მოსამართლის სტილზე.
- სასამართლო სისტემის ჩაკეტილობას ხელს უწყობს ასევე ის, რომ სამოსამართლო კარიერის დასაწყებად (უმენაესი სასამართლოს გარდა) ერთადერთი გზა არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის გავლა. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩასარიცხ პირთა რაოდენობა უკიდურესად შემღუღლია. ამასთან, წლების მანძილზე დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლაში უმეტესად ირიცხებიან ის პირები, ვისაც აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილება. შესაბამისად, სასამართლო სისტემაში ახალი, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კადრების შედინება შესაძლებელია მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით და ისინიც ძირითადად სასამართლო სისტემიდან მოდიან.
- გარედან კადრებისთვის სისტემის დახურულობის და ნიჰილიზმის გამო მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსებში არ არის კონკურენტული გარემო, კონკურსში არ ან ვერ მონაწილეობენ პრინციპული და მიუკერძოებელი იურისტები.
- რაიონული/სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებთან გასაუბრებები ძირითადად დახურულია, რის გამოც ისინი ვერ ექცევა სამოგადობრივი დაკვირვების ქვეშ და გაუმჭვირვალეა.
- უმენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა ხდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის წინასწარი შეთანხმებით და საპარლამენტო უმრავლესობასთან წინასწარი გარიგებით.
- მოსამართლეობის კანდიდატთა დამოუკიდებლობის და კეთილსინდისიერების ხარისხს აფასებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის წევრთა უმრავლესობას არ აქვთ კანდიდატების კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების შეფასების სპეციალური ცოდნა ან ნება (ან თავად მოკლებულია კეთილსინდისიერებას).
- სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატების წარსულში მიღებული გადაწყვეტილებები ხელმოუწვდომელია მათი მოსამართლის თანამდებობისთვის შესაბამისობის შესაფასებლად.
- უმენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კონკურსის ღიაობამ, გამჭვირვალობამ და გადაწყვეტილებების დასაბუთების მოთხოვნამ ვერ უზრუნველყო უმენაეს სასამართლოში კვალიფიციური და კეთილსინდისიერი კადრების დანიშვნა.
- არაკეთილსინდისიერი მოსამართლეები, რომლებიც თანამდებობაზე პოლიტიკური პაგრონაჟის ან ფარული გარიგებების საფუძველზე ინიშნებიან, წარმოადგენენ უდიდეს დაბრკოლებას დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებული სასამართლოსათვის.

4. მოსამართლეთა დაწინაურება და სხვა სასამართლოში გადაყვანა:

- სასამართლო სისტემის შიგნით მოსამართლეთა დაწინაურება არ ხორციელდება კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით. მოსამართლეთა დაწინაურების პრაქტიკა აჩვენებს, რომ დაწინაურებული არიან ის მოსამართლეები, რომლებმაც სხვადასხვა საქმეებზე პოლიტიკური ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღეს.
- 2012 წლამდე მოსამართლეთა იძულებითი მივლინებები ხშირად გამოიყენებოდა როგორც ურჩ მოსამართლეთა დასჯის მექანიზმი. 2012 წლის შემდეგ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით მოსამართლის იძულებითი მივლინების სუბიექტურად გამოყენების შესაძლებლობები მაქსიმალურად შეიზღუდა, თუმცა 2021 წლის ბოლოს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით საკანონმდებლო სივრცე პრაქტიკულად დაუბრუნდა 2012 წლამდე არსებულ მდგომარეობას. შესაბამისად, ისევ გაჩნდა ამ ინსტიტუტის არასათანადო მიზნებისთვის გამოყენების ფართო შესაძლებლობა.

5. საკადრო კრიზისი სასამართლოში, მოსამართლეთა დაგვირგობიანობა და საქმეთა გაჭიანურება:

- 2013 წლის შემდეგ სასამართლოში მუდმივად არსებობს საკადრო კრიზისი, რის გამოც მოსამართლეთა დაგვირგობიანობა მაღალია, ჭიანურდება საქმეები და იკლებს გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხი. მეორე მხრივ, საქმეთა გაჭიანურების მიზეზი ასევე არის საქმეების არასწორი მენეჯმენტი. სასამართლო ხელმძღვანელობას არ აქვს პრობლემის გადაჭრის არც სათანადო ნება და არც სტრატეგია.
- მოსამართლეთა დაგვირგობიანობა გამოიყენება მოსამართლეზე მეწოდის დამატებით მექანიზმად.
- მცირე ზომის მოსამართლეთა კორპუსის არსებობა აადვილებს სასამართლო თვითმმართველობის (მოსამართლეთა კონფერენციის) კონგრულს კლანის მიერ.

6. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა:

- მიუხედავად იმისა რომ მიღებული იქნა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება დისციპლინური სისტემის გამჭვირვალობის, დამოუკიდებლობის და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დისციპლინური სისტემა არ არის დამოუკიდებელი, სამართლიანი და ეფექტური. მოსამართლეთა ვიწრო ჯგუფი აკონტროლებს დისციპლინური წარმოების ყველა რგოლს საჩივრის მიღებიდან საქმის არსებით გადაწყვეტამდე.
- 2012 წლამდე დისციპლინური სისტემა ძირითადად იყო ურჩი მოსამართლეების დასჯის მექანიზმი, ხოლო ამჟამად არის კორპორაციული თავდაცვის, მოსამართლეთა „მომადლიერების“, ასევე პოლიტიკური ნიშნით გადაწყვეტილებების მიმღები მოსამართლეების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მექანიზმი.

7. სამოსამართლო თვითმმართველობა:

სამოსამართლო თვითმმართველობამ შეიძინა ფიქტიური ხასიათი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე კანდიდატებს შორის არ არის კონკურენცია, ხოლო დასახელებული კანდიდატების არჩევა ხდება კონფერენციაზე დამსწრე პირთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით.

8. სასამართლოს თავმჯდომარეები:

- სასამართლოს თავმჯდომარის ინსტიტუტი წინა ხელისუფლების დროს გამოიყენებოდა მართლმსაჯულებისა და მოსამართლეების პოლიტიკური კონტროლის შესანარჩუნებლად. დღესაც სასამართლოების თავმჯდომარეები რჩებიან მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვან საყრდენ ძალად.

9. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების შერჩევა:

- იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის წესი და პრაქტიკა განამტკიცებს კორუპორატივიზმს სასამართლო სისტემაში. იუსტიციის საბჭოს საქმიანობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ საბჭოს მოსამართლე წევრებს ყოველთვის აქვთ მათთვის სასურველი გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობა და პრაქტიკაში ფაქტობრივად არ არის შემთხვევა, როცა იუსტიციის საბჭოს სხდომაზე დაყენებული მოსამართლე წევრის ინიციატივამ ვერ მოიპოვა ხმათა საჭირო რაოდენობა, მაშინ, როცა ცალკეული არამოსამართლე წევრების ინიციატივები არასოდეს არის მხარდაჭერილი საბჭოს მოსამართლე წევრების მიერ.
- კლანთან ალიანსში მყოფი საბჭოს არამოსამართლე წევრები იღებენ მთელ რიგ უპირატესობებს კლანთან თანამშრომლობის სანაცვლოდ.

10. მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება:

საქმის განაწილების სისტემით მანიპულირება ყოველთვის იყო მართლმსაჯულებაში არაჯეროვანი ჩარევის მექანიზმი. საქმეთა ელექტრონული განაწილების პროგრამის ამოქმედების მიუხედავად, ელექტრონულ პროგრამაში კვლავ რჩება მანიპულაციის შესაძლებლობები, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია გამოიყენოს. მათ შორისაა, მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია; ელექტრონული სისტემიდან არასასურველი მოსამართლის გამოთიშვა; მოსამართლეთა კოლეგიურ შემადგენლობებში არამომხსენებელი წევრების ad hoc შერჩევა საქმეზე არსებული ინტერესის შესაბამისად და სხვ.

11. მოსამართლეთა სოციალური უზრუნველყოფა:

- საპენსიო ასაკამდე თანამდებობიდან წასვლის შემთხვევაში მოსამართლეები რაიმე კომპენსაციას არ იღებენ.
- მოსამართლეებს არ აქვთ ადექვატური საპენსიო უზრუნველყოფა.

12. ნეპოტიზმი სასამართლოში:

ნეპოტიზმი სასამართლო სისტემაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსების დროს, ასევე სასამართლო მოხელეთა დანიშვნისას.

13. კორუფციის რისკები სასამართლოში:

სასამართლოში არსებული სავარაუდო კორუფციის შესახებ მიუთითებს სხვადასხვა კვლევა, ასევე ჟურნალისტური მასალა, თუმცა კონკრეტული ფაქტების გამოვლენა და მათზე სამართლებრივი რეაგირება არ ხდება.

14. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება დღემდე აღუსრულებელია. საჯარო ინფორმაციის სახით ხელმიწვდომელია არა მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტილების სრული ტექსტი, არამედ ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილების დაშტრიხული ვერსიაც.
- კანონის მოთხოვნა სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ პრაქტიკაში არ არის შესრულებული.

15. სასამართლო რეფორმის დროს დაშვებული შეცდომები:

- 2012 წლის შემდეგ სასამართლო რეფორმის ოთხი გაღია დაიგეგმა და განხორციელდა ისე, რომ არ მოხდა სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის შეფასება.
- სასამართლო თვითმმართველობა დაინერგა და ამოქმედდა იმ ვითარებაში, როცა ხელისუფლებაში მოსული ქართული ოცნება ემუქრებოდა მოსამართლეებს სამართლებრივი პასუხისმგებლობით და სამსახურიდან გაშვებით. აღნიშნულმა გამოიწვია მოსამართლეთა კორუფციის კონსოლიდაცია იმ ჯგუფის ირგვლივ, რომელიც მათ პირდებოდა გადანიშვნას და უსაფრთხოების გარანტიებს.
- ქართული ოცნების მიერ სასამართლო სისტემის გასაჯანსაღებლად შეთქმავებული საკანონმდებლო ბერკეტები და ინსტიტუტები, მათ შორის, მოსამართლეთა უვადო დანიშვნა, საპრობაციო ვადა, დამოუკიდებელი ინსპექტორი და სხვა აღმოჩნდა კლანის ხელში, რომელმაც ეს ბერკეტები გამოიყენა საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად.

1. სასამართლოს დამოუკიდებლობა

დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უმთავრესი საფუძველია.

საქართველოს დამოუკიდებლობის 30 წლიანი ისტორიის მანძილზე სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი განსხვავებული გამოწვევების წინაშე იდგა. ამ მიზნით შეიძლება პირობითად დაიყოს ეს პერიოდები 1997-2004, 2004-2012 და 2012-2022 წლებად.

თუკი 2004 წლამდე სასამართლოს ძირითადი გამოწვევა იყო კორუფცია („სამართლის ყიდვა-გაყიდვა“), მოგვიანებით, 2004-2012 წლებში სისტემური კორუფცია აღმოიფხვრა თუმცა სასამართლო სისტემა მოექცა პოლიტიკური ხელისუფლების ტოტალური კონტროლის ქვეშ და იქცა ყველაზე მოწყვლადი ხელისუფლების შტოდ.

თავის მხრივ, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდი შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად. 2004-2007, 2008-2012 წლებად. პირველი სამწლეული ძირითადად სასამართლოს ახალგაზრდა კადრებით შევსების და კორუფციის პრევენციის პერიოდია. თუმცა ამ დროს თანდათან გაჩნდა პოლიტიკური ხელისუფლების სასარგებლოდ სასამართლოს გამოყენების სურვილი და ნიშნები. მეორე პერიოდი კი დაკავშირებულია მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობასთან ღიად გამოცხადებულ ბრძოლასთან როგორც საკანონმდებლო, ასევე ფაქტობრივი მოცემულობით. მოსამართლის როლი და ავტორიტეტი ამ პერიოდში საგრძნობლად დაკნინდა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემის ის მმართველობითი რგოლი, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკური ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა სასამართლოს¹. ეს პერიოდი შეიძლება მივიჩნიოთ დღევანდელი ფორმით არსებული მმართველობის დასაწყისად.

დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობამ შედეგად გამოიწვია ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის მოშლა და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა რაც საბოლოო ჯამში ხელისუფლების ცვლილებით დამთავრდა.

2012 წელს ხელისუფლებაში მოსული ქართული ოცნების მთავარი საარჩევნო დაპირება იყო სამართლიანობის აღდგენა და დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა.

2012 წლის შემდეგ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების, იგივე სასამართლო რეფორმის ტალღების შედეგად სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ხარისხი გაიზარდა, თუმცა სასამართლო თვითმმართველობის ორგანოები ხელში ჩაიგდო კვლავ იმ ჯგუფმა (კლანმა) რომელიც მართავდა სასამართლოს წინა ხელისუფლების დროს. აღნიშნულ ჯგუფს უარი არ უთქვამს მოსამართლეებზე გემოქმედების და მართლმსაჯულებაში ჩარევის იმ ფორმებზე და მეთოდებზე, რასაც იყენებდა 2012 წლამდე, თუმცა გარკვეული მეთოდები მოდიფიცირდა და შეიზღუდა მათი გამოყენების მასშტაბები. 2015 წლიდან აღნიშნულმა ჯგუფმა მიიღო როგორც პოლიტიკური, ასევე საკანონმდებლო და საკადრო მხარდაჭერა ქართული ოცნების მხრიდან. თუ 2015 წლამდე ამ ჯგუფსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების უმრავლესობას შორის შეინიშნებოდა დაპირისპირება, 2015 წლის გაფხვიდან იწყება მათი თანამშრომლობის პერიოდი.

2015 წლიდან მოსამართლეების დიდ რაოდენობას ამოეწურათ უფლებამოსილების ათწლიანი ვადა. ამ დროიდან ამოქმედებულია კანონის რედაქცია, რომელიც მოსამართლეთა დანიშვნას უვადოდ სამწლიანი გამოსაცდელი ვადის პერიოდით ითვალისწინებს. 2015 წლის დეკემბერში უვადოდ

¹ იხ. მაგ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების რეზოლუცია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების თაობაზე, 2019, „ვითვალისწინებთ, რომ 2012 წლამდე სასამართლო სისტემის მმართველი რგოლი შერწყმული იყო აღმასრულებელი ხელისუფლების რეპრესიულ პოლიტიკისთან, რამაც, მათ შორის, დაუშვა ქვეყანაში შერჩევითი სამართალი, გამამტყუნებელი განაჩენების უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელი, პოლიტიკური ნიშნით პირთა დაპატიმრება და პროფესიული საქმიანობის გამო ადვოკატთა მასშტაბური დევნა“; shorturl.at/dsvyW

დანიშნა მოსამართლეთა კლანის ერთ ერთი ლიდერი ლევან მურუსიძე. იმის გამო, რომ ის იყო არაერთი გახმაურებული საქმის, მათ შორის გირგვლიანის საქმის მოსამართლე, ის მოექცა სამოქალაქო სექტორის მკაცრი კრიტიკის ქვეშ. ამის საპირისპიროდ სასამართლოში გაჩნდა სლოგანი „ მე ვარ მურუსიძე“-რასაც მხარი დაუჭირა მოსამართლეთა გარკვეულმა ნაწილმა. მანამდე ლევან მურუსიძე კიდევ ერთხელ აღმოჩნდა სამოგალოების ყურადღების ცენტრში, როდესაც იუსტიციის მდიანის რანგში შეხვდა იმდროინდელ პრემიერმინისტრს ბიძინა ივანიშვილს. პრესასთან გაკეთებულ კომენტარში, შეხვედრის შემდეგ ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ იპოვა სასამართლოში ის ადამიანები, რომლებსაც სურთ იყვნენ სასამართლოს დამოუკიდებლობის ნამდვილი გარანტი².

2016 წელს მიღებულ იქნა რეფორმების მესამე ტალღის კანონის პროექტი, რომელიც ორი წელი გაჩერებული იყო პარლამენტში მესამე მოსმენის შემდგომ დაბრუნდა ხელახლა მეორე მოსმენაზე და მასში შევიდა ცვლილებები, რომლითაც სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევის უფლებამოსილება (რომელიც თავდაპირველი ვერსიით მოსამართლეებს უნდა ჰქონოდათ) დაუბრუნდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ცვლილება შეეხო მოსამართლის დანიშვნის წესსაც. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე (სამოსამართლო სტაჟის წლების მიუხედავად) გამოსაცდელი ვადის გარეშე შეიძლება დანიშნოს ქვემდგომი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ და სხვა მოსამართლეებისგან განსხვავებით მასზე არ ვრცელდება დანიშვნამდე მის მიერ გამოგანილი 5 გადაწყვეტილების წინასწარი შეფასების სავალდებულო წესი. ცხადი გახდა რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება მორგებული იყო კონკრეტულ ადამიანზე - მიხეილ ჩინჩალაძეზე, რომელიც საქმეებს პრაქტიკულად არ იხილავდა³. ამ წესის საფუძველზე კანონის მიღებიდან პირველივე კონკურსზე გაველიანი ჯგუფის - კლანის ლიდერი - მიხეილ ჩინჩალაძე გახდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და თავმჯდომარე⁴.

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით უზენაესი სასამართლოს წევრთა შერჩევის უფლებამოსილება გადაეცა კლანის მიერ კონტროლირებად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელმაც გამოიყენა კიდევ არსებული უფლებამოსილება კლანისთვის ლოიალური კადრებით უზენაესი სასამართლოს დასაკომპლექტებლად, რითაც კონტროლი დაამყარა სამივე ინსტანციის სასამართლოზე.

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით კონსტიტუციის 64-ე მუხლში ჩაიწერა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე რითაც სამოსამართლო კორპორაციებში გაუჩნდა უფრო მყარი კონსტიტუციური საფუძველი.

² „ის განწყობა, რაც აქვს ბაგონ კოგეს და რაც აქვს ბაგონ ლევანს, საჭიროა ახლა მივიგნოთ თითოეულ მოსამართლემდე ისე, რომ მთავრობა და პირადად მე, მთავრობის მეთაური, პრინციპულ პოზიციას ვიჭერ, რომ არ გაბელოს როგორმე და არ მოახდინოს ზედმეტი გავლენა მთავრობამ სასამართლოზე.“ [ივანიშვილი: მოსამართლეებს უნდა შევუქმნათ მაქსიმალური კომფორტი • ნეტგაზეთი \(netgazeti.ge\)](#) იხ. აგრეთვე ბიძინა ივანიშვილის 2016 წლის ინტერვიუ: „ მაშინ იმედი გამოვთქვი და ვთხოვე, რომ შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და იქნებ როგორმე გათავისუფლდე ძველი ხელისუფლების წნეხისგან და გარანტიას გაძღვე, რომ ახალი ხელისუფლება არ შეგეხება-მეთქი“. [ბიძინა ივანიშვილი: ლევან მურუსიძემ მოახერხა და გათავისუფლდა „ნაციონალური მოძრაობის“ ზენოლისგან » kvira.ge](#) . 2015 წლის შემდეგ ლევან მურუსიძე ხშირად ჩნდებოდა სხვადასხვა მედია საშუალებებში და ამტკიცებდა რომ გირგვლიანის საქმეზე მას არ შეეძლო სხვა გადაწყვეტილების მიღება. https://drive.google.com/file/d/19ZxAnQgC2xCNk2pnrtvK-aG9jvvtU_K/view გვ. 10 იმავე კამპანიაში ჩაება ქართული ოცნებას <https://rustavi2.ge/ka/news/192367> სინამდვილეში გირგვლიანის საქმეზე ჩაგარებული კვლევით დადასტურდა, რომ განაჩენის გამოგანისას ლევან მურუსიძემ გადაუხვია როგორც კანონს, ასევე საკუთარ პრაქტიკას და მიიღო უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მძიმე ლაქედ ღარჩა ქართული მართლმსაჯულების ისტორიას <https://rights.ge/ka/accountnew/13>

³ <https://netgazeti.ge/news/189660/>

⁴ <https://netgazeti.ge/news/193048/>

თუ 2021 წლამდე მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები ფორმალურად მაინც უმჯობესდებოდა, 2021 წლის დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით გაუარესდა მოსამართლის დამოუკიდებლობის ნორმატიული ჩარჩო მაგ. შესაძლებელი გახდა მოსამართლის ნების გარეშე მივლინება სუბიექტური კრიტერიუმებით სათანადო დასაბუთების გარეშე ასევე დისციპლინური ღონისძიების დაწყების შემთხვევაში მოსამართლეების ჩამოცილება მიმდინარე საქმიდან. საკანონმდებლო ცვლილება მიღებული იქნა დაჩქარებული წესით.

მიუხედავად გარკვეული გამონაკლისების მუდმივად არსებობისა საქართველოში, ისევე როგორც ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ვერ მოხდა მოსამართლეთა კორპუსის მენცალური გრანზიციის. მოსამართლეთა დიდი ნაწილი თავს აღიქვამს ბიუროკრატიულად რომელთა ფუნქციაა სისგემისადმი მსახურება და არა სამართლის და ადამიანის უფლების სადარაჯოზე დგომა.

2021 წლიდან სასამართლო რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით როგორც სასამართლო კლანი ასევე ქართული ოცნება პირდაპირ კონფრონტაციაში შევიდა საქართველოს დასავლელ პარტნიორებთან - ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან: პოლიტიკურმა ხელისუფლებამ და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გააგრძელეს უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ასევე მოსამართლეთა შერჩევის პროცედურების რეფორმირების გარეშე 2021 წლის აპრილში ევროკავშირის ეგიდით მიღწეული პოლიტიკური შეთანხმების და დასავლელი პარტნიორების მოწოდებების საწინააღმდეგოდ, რითაც კიდევ ერთხელ წარმოჩინდა კლანის სწრაფვა ძალაუფლების განმტკიცებისკენ და ქართული ოცნების მიერ კლანის წინაშე აღებული ვალდებულებები.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მივიღეთ თვისობრივად იგივე სასამართლო სისტემა რაც იყო 2012 წლამდე - სისტემა რომელიც ემსახურება პოლიტიკურ ხელისუფლებას⁵. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეებზე ზემოქმედების მასშტაბები შემცირებულია, მართლმსაჯულებაში არაფეროვანი ჩარევა ხდება იმ დოზებით, რა დოზითაც ეს ესაჭიროება პოლიტიკურ ხელისუფლებას და სასამართლოში არსებულ გავლენიან ჯგუფს, კლანს⁶.

⁵ფაქტურად ქართულმა ოცნებამ შეინარჩუნა სასამართლოს მართვის ის მოდელი რომელიც ჩამოყალიბდა წინა ხელისუფლების დროს. აღნიშნულს კარგად გამოხატავს ბიძინა ივანიშვილის ცნობილი სიტყვები: „ადეიშვილის სისტემა შევინარჩუნეთ და მას მივეცი საშუალება თვითგადარჩენის და თვითგაწმენდის“. shorturl.at/bnRZ4

⁶ 2021 წელს დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად (პრაქტიკოსი ადვოკატების აზრის კვლევა) გამოკითხულთა მხოლოდ 2.4 % (2 რესპოდენტი) მიიჩნევს რომ ყველა მოსამართლე არის სრულად შეუვალი. 24.4 % მიიჩნევს რომ მოსამართლეთა მხოლოდ 10% არის სრულად შეუვალი. 15.9 პროცენტს შეკითხვაზე პასუხი არ აქვს. გამოკითხული ადვოკატების 36.6 პროცენტი მიიჩნევს რომ მოსამართლეები საქმეთა უმრავლესობას იხილავენ დამოუკიდებლად, 23.2 % მიიჩნევს, რომ საქმეთა ნახევარს იხილავენ დამოუკიდებლად, 17.1 % მიიჩნევს რომ ნახევარზე ნაკლებ საქმეებს იხილავენ დამოუკიდებლად. მხოლოდ 8.5 პროცენტი (7 რესპოდენტი) მიიჩნევს, რომ ყველა საქმეს იხილავენ დამოუკიდებლად.

გამოკითხულთა 55.4 პროცენტი მიიჩნევს რომ პოლიტიკური ინტერესის საქმეებზე სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, ხოლო 30.1 % მიიჩნევს რომ ნაწილობრივ დამოუკიდებელია. დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი, სასამართლო სისტემა საქართველოში, ადვოკატების აზრის კვლევა, 2021. shorturl.at/ckOV9

2. საქართველოს სასამართლო სისტემის ზოგადი მდგომარეობა ყოველწლიური საერთაშორისო შეფასებების მიხედვით

- საქართველოს სასამართლო სისტემის შეფასება Freedom House ის Freedom in the World 2021 ინდექსის მიხედვით

მსოფლიო თავისუფლების ინდექსის მიხედვით კანონის უზენაესობის კრიტერიუმით საქართველოში არსებული მდგომარეობა შემდეგნაირად ფასდება: „მიუხედავად მიმდინარე სასამართლო რეფორმებისა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ჩარევა სასამართლო სისტემაში რჩება არსებით პრობლემად, ისევე როგორც, სასამართლო პროცესებში გამჭვირვალობისა და პროფესიონალიზმის ნაკლებობა.“⁷ კერძოდ, სასამართლოს დამოუკიდებლობის შეფასების ნაწილში ხაზგასმულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად პროფესიონალიზმის და მიუკერძოებლობის პრობლემის მქონე პირების დანიშვნის შემთხვევები.

მსოფლიო თავისუფლების ინდექსის მიხედვით, მის ერთ-ერთ კომპონენტში – კანონის უზენაესობა – საქართველოს ინდექსი 2014 წელს გაუმჯობესდა ერთი მაჩვენებლით, 4 ქულიდან 2 ქულით შეფასდა. 2014 წლის შემდეგ, 2015–2022 წლებში საქართველოში კანონის უზენაესობის ინდექსი არ გაუმჯობესებულა და ყველა წელს 4 ქულიდან 2 ქულით შეფასდა.

- Heritage Foundation 2022 Index of Economic Freedom

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით გამოშვების ერთ-ერთი კრიტერიუმია ქვეყანაში კანონის უზენაესობის მდგომარეობა. აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს შეფასება შემცირებულია წინა წლებთან შედარებით. აღნიშნულის მიზეზად Heritage Foundation ის ანგარიშში აღნიშნულია: პოლიტიკური ჩარევა ძირს უთხრის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას. ბევრ მოსამართლეს აკლია უნარი განიხილოს კომერციული დავები სწრაფად და დამოუკიდებლად“. („Political interference undermines the independence of the judicial system. Many judges lack the ability to adjudicate commercial cases independently or quickly.“)

თუკი აღნიშნული ინდექსით საქართველოს შეფასება 2017–2021 წლებში 76.2 ქულიდან 77.2 ქულამდე მერყეობდა, 2022 წლის შეფასებით აღნიშნული ქულა 71.8–მდე შემცირებული, მათ შორის კლება შეეხო კანონის უზენაესობის კომპონენტის სამივე მაჩვენებელს.⁸

- საქართველოს სასამართლო სისტემის შეფასება აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიშში

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველწლიურად გამოსცემს მსოფლიოს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშებს, ქვეყნების მიხედვით და წარედგინება აშშ კონგრესს. მეთოდოლოგიის თანახმად, ანგარიში მზადდება საკითხის გარშემო სხვადასხვა წყაროებისაგან მიწოდებულ ინფორმაციაზე, როგორც ეროვნულ დონეზე, ისე საერთაშორისო წყაროებზე დაყრდნობით.

⁷ <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2022>

⁸ <https://www.heritage.org/index/country/georgia#rule-of-law>

2021 წლის შესახებ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს სასამართლოს აქვს დამოუკიდებლობის სერიოზული პრობლემა, არსებობდა მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ჩარევის ნიშნები, მოსამართლეები მოწყვლადი იყვნენ პოლიტიკური ზეწოლის მიმართ სასამართლოს შიგნიდან, ასევე გარეშე ზეწოლის მიმართ ისეთ საქმეებზე, რომლებიც შეეხებოდა პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხებს ან ინდივიდებს.

უფრო კონკრეტულად ანგარიშში სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ პრობლემურად გამოყოფილია შემდეგი:

- სასამართლოების თავმჯდომარეების უფლებამოსილება დასაბუთების გარეშე განსაზღვრონ მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია;
- დასაბუთების გარეშე მოსამართლეთა სხვა სასამართლოში გადაყვანის დიდი ხნის დამკვიდრებული პრობლემური პრაქტიკა;
- კლანური მმართველობა. ანგარიშში მოსამართლეთა კლანი/გავლენიანი ჯგუფი მოხსენიებულია 22-ჯერ.⁹
- სასამართლოს არაეფექტური კონტროლი საარჩევნო დავებზე;
- მოსამართლეთა გადაგვირთულობის და საქმეთა განხილვის გაჭინურების პრობლემა;
- მოსამართლის კონსტიტუციური უფლების, გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციაზე შემლდვის დაწესება შესაბამისი დასაბუთების გარეშე;
- მოსამართლეთა კონფერენციის მიერ იუსტიციის საბჭოს წევრების არჩევა არაკონკურენტულ გარემოში;
- იუსტიციის საბჭოს მიერ სასამართლო სისტემაში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მოსამართლეების დანიშვნა გაუმჭვირვალე წესით;
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესი არ იწვევდა ნდობას;
- პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში 44 მოსამართლის დანიშვნის შესახებ იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებებს არ ახლდა სათანადო დასაბუთება;
- სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობა შემლდულია. სასამართლოებმა გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოქვეყნება 2020 წლის მაისში შეწყვიტეს;
- მოსამართლეების გადაყვანა/დაწინაურება მიზნად არ ისახავდა სასამართლოების განგვირთვას და წარმოშობდა ეჭვებს. 35 ასეთი დაწინაურება განხორციელდა 2021 წელს.

3. სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა

ბოლო წლებში ჩატარებული გამოკითხვებით ღვინდება რომ სამოგალოებრივი ნდობის კუთხით საჯარო ინსტიტუტებს შორის სასამართლო ერთ ერთ ბოლო ადგილს იკავებს¹⁰. 2021 წელს IRI ს მიერ ჩატარებული კვლევით გამოკითხულთა მხოლოდ 35 პროცენტი აფასებს სასამართლოს საქმიანობას დადებითად, ხოლო 55 პროცენტი უარყოფითად¹¹.

⁹ <https://www.state.gov/reports/2021-country-reports-on-human-rights-practices/georgia/>

¹⁰ NDI Poll - 2020 <https://agenda.ge/en/news/2020/135>; Transparency International Poll 2019 <https://www.transparency.org/en/post/majority-respondents-say-judges-history-succumbing-political-pressure-should-leave-judiciary> IDFI and EMC in 2018 https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Executive-summary-for-the-presentation_ENG_1544012529.pdf

¹¹ https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_february_2021_1.pdf

NDI -ს მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად გამოკითხულთა 32 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში სასამართლო სისტემა გაუარესდა, ხოლო 16 პროცენტი მიიჩნევს რომ გაუქობესდა¹².

სასამართლოს რეპუტაციაზე უარყოფითად ბევრი სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის, დისკრედიტირებული მოსამართლეების უვადო დანიშვნა, პოლიტიკური და კორუფციული ინტერესის მქონე საქმეებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საქმეთა გაჭიანურება, სასამართლოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის არ არსებობა და სხვ.

სასამართლო რეპუტაციაზე უარყოფითად მოქმედებს ის, რომ ერთმანეთს ეწინააღმდეგება მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ და კლანის მიერ შემუშავებული სასამართლოს წარსულთან დაკავშირებით. კერძოდ მმართველი გუნდის მიერ შემუშავებული ვერსიით მოსამართლეები აღრე ცუდ საქმეებს ჩადიოდნენ, ხოლო შემდეგ გამოსწორდნენ და ამჟამად კარგ საქმეებს ჩადიან; ამის საპირისპიროდ, როგორც კლანი, ასევე მის მიერ მხარდაჭერილი (უზ. სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები) აცხადებენ, რომ ისინი იყვნენ დამოუკიდებლები როგორც 2012 წლამდე ასევე ამ წლის შემდეგ¹³. უფრო მეტიც, სასამართლო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი პირდაპირ აცხადებს, რომ 2012 წლამდე სასამართლო სისტემა იყო დამოუკიდებელი¹⁴.

2021 წლის 20 აგვისტოს CRRC მიერ გამოქვეყნებული კვლევის „ბიზნესის შეხედულებები საქართველოს სასამართლო სისტემის შესახებ“ მიხედვით, გამოკითხული 1300 ბიზნესორგანიზაციიდან მხოლოდ 13% მიიჩნევს, რომ სასამართლო დამოუკიდებელია. (Only 13 percent of the 1,300 business organizations that participated in the survey believed that judges were fully independent. A plurality (43 percent) of businesses assessed court performance as average. More than half of the respondents (56 percent) partially trusted the courts, while 17 percent reported they had full trust in them. They similarly assessed the competence and independence of judges).

4. კორპორატივიზმი სასამართლო სისტემაში

საქართველოს სასამართლო სისტემაში დღეისათვის არსებული უმთავრესი პრობლემა არის კორპორატივიზმი და კლანური მმართველობა. კლანური მმართველობის პრობლემა გულისხმობს, რომ სასამართლოს მართვის სადავეები ხელში უჭირავს მოსამართლეთა ვიწრო ჯგუფს, რომელიც არის მოსამართლეებზე ბეწოლის და სასამართლოს პოლიტიკური კონტროლის მექანიზმი¹⁵.

¹² https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20December%202021%20poll_Geo_vf%20%281%29.pdf

¹³ კონსტიტუციის 42-ე მუხლი/დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების ანალიზი სასამართლოს დამოუკიდებლობის, სანდოობისა და სასამართლო სისტემაში არსებული გამონწვევების კუთხით

¹⁴ იხ. საპარლამენტო გასაუბრებები გიორგი მიქაუტაძესთან, თამარ ალანიასთან, მირანდა ერემაძესთან, მერაბ გაბინაშვილთან.

¹⁵ სასამართლოს ხელმძღვანელობის მიერ მოსამართლეებზე ზეწოლას აღიარებდა თავად ქართული ოცნება, იხ. მაგ.. თეა წულუკიანი - „სასამართლო კუბლაშვილის ხელში ვეღარ იქნება, ანუ მოსამართლეები გათავისუფლებული იქნებიან ცერცვაძეების, ჩინჩალაძეების, მეიშვილების, კუბლაშვილების წინისგან“.

კლანური მმართველობის სათავეები ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს უნდა ვეძებოთ, როდესაც „მკაცრი ხელის“ პოლიტიკის გასაგარებლად პოლიტიკურმა ხელისუფლებამ 2007–2008 წლებში საჭიროდ ჩათვალა მმართველობითი რგოლების გაძლიერება ერთმანეთთან კოორდინირებულად მომუშავე პირებით, რომლებსაც ჰქონდათ პროკურატურაში მუშაობის გამოცდილება¹⁶.

2007 წლიდან სისგემის მორჩილების მაკონტროლებლად სასამართლოში მოსამართლის სტატუსით სულ რამდენიმე თვიან პერიოდში მოგვევლინენ და ადმინისტრაციული თანამდებობები დაიკავეს საქართველოს პროკურატურის და ძალოვანი სისგემების თანამშრომლებისგან შემდგარმა ჯგუფმა¹⁷. ისინი ადმინისტრაციული თანამდებობების მეშვეობით განაწილდნენ მთელ საქართველოში და კოორდინირებულად, ავრცელებდნენ ერთიან პოლიტიკას, რაც იყო მოსამართლეთა და საქმეთა კონტროლი, კონტროლს დაუმორჩილებელი მოსამართლეების აღრიცხვა და რეაგირება, მოსამართლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების, განწყობების, პირადი და ოჯახური¹⁸ პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვება. განსხვავებული ამრის მქონე და პოლიტიკურად ურჩ მოსამართლეთა რეაგირების მექანიზმები უპირატესად რეპრესიული იყო (ე.წ. მათრახის პოლიტიკა) თუმცა ჰქონდათ ასევე ასევე გარკვეული წამახალისებელი მექანიზმები (ე.წ. სტაფილოს პოლიტიკა) – დაწინაურება, სამღვარგარეთ მივლინება¹⁹, სასამართლოს სახელით სხვადასხვა ღონისძიებებში ჩაბმა, შრომის მკვეთრად განსხვავებული პირობების შექმნა, საქმეთა განხილვისგან გათავისუფლება, დამატებითი შრომის ანაზღაურების მიცემა²⁰). როგორც რეპრესიული, ასევე წამახალისებელი ღონისძიებების მიზანი იყო კონკრეტული მოსამართლის მადლიერების ან მორჩილების მიღება, ასევე სხვა მოსამართლეებისათვის მაგალითის მიცემა.

<https://for.ge/view/18992/Tea-wulukiani-sazogadoebam-kargad-unda-gaigos-rom-am-xalxs-aTavisuflebs-kublaSvilis-sasamarTlo-da-ara-prokuratura.html?fbclid=IwARoSNKw6VKsd3PIKaDIXqA1UY88GgIN5OrDVoHrRW72Jg8AACIKT1AcGrUo>

¹⁶ ე. წ. ზოგიერთი ყოფილი მოსამართლის აზრით, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა საჭიროებდა სასამართლოს მხრიდან პროკურატურის „გვერდში დგომას“, გარკვეულ საპროცესო დარღვევებზე „თვალის დახუჭვას“, ასევე სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო კომუნიკაციას. სწორედ ამიტომ სასამართლოს თავმჯდომარეებმა დაინიშნენ პროკურორები, რომლებსაც ექნებოდათ კარგი კოორდინაცია თავიანთ ყოფილ უწყებასთან.

¹⁷ მათ შორის: მიხეილ ჩინჩალაძე, ვალერი ცერცვაძე, ირაკლი შენგელია, ვასილ მშენიერაძე, თემურ გოგობია, სერგო მეთოფიშვილი, ნიკოლოზ მარსაგიშვილი, დავით მამისიანი, მამია ფხაკაძე, ლევან თევზაძე.

¹⁸ ლევან მურუსიძე რომელიც 2013 წლის შემდეგ გახდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, აღნიშნულს ხსნის იმით რომ სასამართლო ერთი ოჯახია სადაც მისი ნევრების პრობლემებზე თავად უნდა იზრუნოს: „მე მაქვს რეალურად მოსამართლეებთან ურთიერთობები, ვიცი მათი ოჯახის, მათი პრობლემების შესახებ, შეილება, სუფთა ადამიანური ურთიერთობები, მე ვიცი, რა უჭირთ, რა უღბინთ, რა უნდათ, როგორ უნდათ და მაქსიმალურად ვცდილობ, რომ მათ დაუდგე გვერდში ადამიანურად, ცხოვრება როგორ არის, იცით?! მაინცდამაინც იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაღაც ბერკეტებით მართო, არის ადამიანური ურთიერთობები. არის ერთმანეთის მიმართ პატივისცემა“ –

<http://liberali.ge/news/view/42240/levan-murusidze-mimachnia-rom-mosamartleebi-chemi-ojakhis-tsevrebi-arian> იხ. აგრეთვე: „ვიცნობ მათ შვილებს, მეუღლეებს, მაქვს ურთიერთობა მათთან, მათ დაბადების დღეებზე ვყოფილვარ, ჭირში ვყოფილვარ, ღვინში ვყოფილვარ. რაც კი გაჭირვებით, ვცდილობდი, ადამიანურად დავხმარებოდი. ასე მიმაჩნია, რომ მოსამართლეები ჩემი ოჯახის ნევრები არიან“, „ლიბერალი“, 2018 წლის 28 დეკემბერი, <https://bit.ly/35bAOxL>.

¹⁹ იხ. ირაკლი კობახიძის განცხადება: კონკრეტული მოსამართლეები, რომლებიც უმძიმეს განაჩენს ადგენდნენ, პირდაპირ იყვნენ ჩართული „რეკეტში“, ყაჩაღობაში და ა.შ. ისინი დაჰყავდათ სამღვარგარეთ <https://www.interpressnews.ge/ka/article/711683-irakli-kobaxize-radikalurma-opoziciam-tavisi-lomjariat-da-ngo-ebit-ashsh-is-saelcho-daadanashaula-imashi-rom-isini-axorcieleben-diskriminacias-da-erevian-sasamartlos-damoukideblobashi>

²⁰ აღნიშნული პრაქტიკა შენარჩუნდა უახლოეს წლებშიც. აღნიშნულის მაგალითია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ექსპერტებად დასაქმებული მოსამართლეები, რომლებიც იღებენ დამატებით ანაზღაურებას https://drive.google.com/file/d/1DbBadnL1INztCTvDN0fV6_IHlCc_5VJb/view გვ. 18

აღნიშნული ჯგუფი მოსამართლეების დამორჩილების და საქმეებზე ზეგავლენის მიზნით ბევრ სხვადასხვა მექანიზმს იყენებდა (ზოგიერთ მათგანს დღესაც იყენებს), მათ შორის:

- საქმის შედეგების წინასწარი კონტროლი სასამართლოს თავმჯდომარეების მეშვეობით.²¹
- დაუმორჩილებელ მოსამართლეთა დევნა დისციპლინური წესით²² ან სისხლის სამართლებრივი წესით²³ ან მათი იძულებითი მივლინება²⁴,

²¹ იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა, კორუფციის რისკები სასამართლოში, ინტერვიუ ყოფილ მოსამართლესთან: „ნინა ხელისუფლების დროს [2004-2012 წლები [ავტ. შენიშვნა]], ფაქტობრივად, საქმეების 100% კონტროლდებოდა [სახელმწიფოს მიერ [ავტ. შენიშვნა]], რაც ქრთამის ალების შემთხვევებს თითქმის სრულად გამორიცხავდა, თუმცა სხვაგვარი ჩარევები იყო პრობლემური მაშინ. თუ მოსამართლე რაიმე ასეთ ნაბიჯს გადადგამდა, ის აუცილებლად აღმოჩენილი იქნებოდა, რადგან ამისთვის უამრავი ფილტრი არსებობდა. მაგ. თავმჯდომარეები ერთი პრინციპით იყვნენ შერჩეული - არასასურველი გადაწვეტილებები აღმოჩინათ და მიეწოდებინათ, მაგალითად, ჩინჩალაძესთვის [იმ პერიოდში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ან ვინმესთვის. შემდეგ, ესენი პროკურატურის მეშვეობით რამე მიზეზს მოუძებნიდნენ მოსამართლეს ან „გააციობდნენ“ სხვა სასამართლოში. მოკლედ, ეს მექანიზმი მუშაობდა ძალიან კარგად, რაც სხვა სახის კორუფციის რისკებს ამცირებდა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ის შეიცვალა, რომ აღარ კონტროლდება ასე ყველა საქმე. მოსამართლეთა გავლენიანმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ მთავარი იყო მხოლოდ მათთვის სასურველი საქმეები ყოფილიყო კონტროლის ქვეშ. ეს სიტუაცია ქმნის ილუზიას, რომ სასამართლოს სისტემა გათავისუფლდა, მაგრამ შესაბამისი ინტერესის გაჩენის შემთხვევაში მათთვის ძალიან მარტივია სასურველ შედეგამდე მიიყვანონ საქმე“ <https://www.transparency.ge/ge/post/korupciis-riskebi-sasamartlo-sistemashi> .“იხ. აგრეთვე, მამუკა ახვლედიანი: „2012 წელს, როცა სასამართლოში მივედი, სია დამახვედრეს და მითხრეს, ამ დღეებში კონკრეტულად ეს მოსამართლეები უნდა შემოვიდნენო. ვიკითხე, _ დღეების მიხედვით რაგომ უნდა დავყოთ? როცა უნდათ, მაშინ შემოვიდნენ-მეთქი. ამას მეორე სია მოაყოლეს, სადაც ჩამოწერილი იყო, მომდევნო კვირაში ამ მოსამართლეებს რა განაჩენები უნდა გამოეცხადებინათ“ იხ. მამუკა ახვლედიანის ინტერვიუ ქრონიკალიუსთან, 2015. , იხ. აგრეთვე იხ. კონსტიტუციის 42-ე მუხლი, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა. თბილისი, 2017

<https://docs.google.com/presentation/d/1VaMBrNK-4fkKy9-XapcElVvX42E0ges1/edit#slide=id.p17>; იხ. აგრეთვე ყოფილი მოსამართლე თამაზ ჯალიაშვილის მიმართვა ლევან თევზაძეს (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე) "ჩემს საქმეში ჩარევა ბევრჯერ ცადეთ, გვქონდა ამაზე ჩხუბი და დაპირისპირება“ - <https://www.facebook.com/kakha.tsikarishvili/videos/961218318031994>; საქალაქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლის ირაკლი შავაძის განცხადება, „სასამართლოს თავმჯდომარის სურვილი იყო ჩემს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე მოეხდინა გავლენა და მისი კარნახით მიმეღო გადაწყვეტილებები, იხ. სგუდია მონიგორი, ჩინჩალაძის კლანი, სასამართლო რეფორმის კრახი“ (12:15) <https://www.youtube.com/watch?v=tE5F853u1Fo&t=758s> იხ. ინტერვიუ ლალი ლაზარაშვილთან: აღმინისგრაიციულ საქმეთა პალატაში ვმუშაობდი, როდესაც უზენაესი სასამართლოს აღმინისგრაიციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ აღვიშვილის პროკურატურიდან წამოსული კადრი, მიხეილ ჩინჩალაძე დაინიშნა. მისი ფუნქცია მოსამართლეებზე ზედამხედველობა იყო, კოლეგიის გადაწყვეტილებების მიღებაში უხეშად ერეოდა და ასე ამყარებდა "წესრიგს". <https://kvispalitra.ge/article/16887-yofili-mosamarthle-kote-kublshvils-amkhels-eqskluzivi/> იხ. შალვა თალეშაძესთან გასაუბრება: „მე მინახია მოსამართლეები, რომლებიც სასამართლო დარბაზიდან ალოგიკურ შესვენებებს აცხადებდნენ და გადიოდნენ იმიტომ რომ მოუკითხათ შემდეგ რას ვშვებთ. კარგი მიღებული მაქვს მითითება, მაგრამ შემდეგ რას ვშვებთ. მე მინახია მოსამართლეები საავადმყოფოში რომ გადაიყვანეს ნერვიულობის ნიადაგზე (იხ. კონსტიტუციის 42-ე მუხლი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების ანალიზი, 2019, გვ. გვ. 44) ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან: "მათ (ჩინჩალაძეს და მურუსიძეს) ჰქონდათ გარკვეული გავლენა მოსამართლეებზე და მოსამართლეებიც გაითანაბრეს და წინ წავიდნენ ნაციონალურ მოძრაობას აღარ დაუწყეს შესრულება" <https://for.ge/index.php/view/164916/telekompania-imedisTvis-micemuli-biZina-ivaniSvilis-interviu-meore-nawili.html>

²² იხ. კონსტიტუციის 42-ე მუხლი, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა. თბილისი, 2017, <https://docs.google.com/presentation/d/1VaMBrNK-4fkKy9-XapcElVvX42E0ges1/edit#slide=id.p23> აგრეთვე ე.წ. მეამბოხე მოსამართლეების საქმე <https://forum.ge/?f=29&showtopic=33624869&st=60>, იხ. აგრეთვე ნინო გვენეტაძის მოხსენება: <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/nino-gvenetadzis-moxsenebis-sruli-texti.pdf>

²³ იხ. მაგ. მოსამართლე ნონა თოლორაიას შემთხვევა, <https://www.youtube.com/watch?v=PKypXaYDMSk&t=7s> 23 ე წუთიდან

²⁴ იხ. სასამართლო სისტემის 2013-2017 წლების ანგარიში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო shorturl.at/elrwk გვ. 9 იხ. აგრეთვე თეა წულუკიანის განცხადება: „როცა მავანი შეამჩნევდა, რომ რომელიმე მოსამართლე არ იქცეოდა კარგად, ანუ აპირებდა, საქმე დამოუკიდებლად გადაეწყვიტა, ეს ცუდ გონად მიიჩნეოდა. ამ მოსამართლეს გადაასახლებდნენ, ამას, კი მივლინებას

- მორჩილი მოსამართლეების დანიშვნა/დაწინაურება ან სხვაგვარი წახალისება²⁵
- საქმის განაწილების სისტემით მანიპულირება²⁶.

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მოსამართლეთა იმ ჯგუფს, რომლებიც პროკურატურის სისტემიდან გადავიდნენ სასამართლოში, შეეძინა თანამდებობების დაკარგვის საფრთხე და შესაბამისად ცდილობდა თავისი პოზიციების შენარჩუნებას სხვადასხვა გზებით. მაგალითად, 2012 წლის ოქტომბერში, ხელისუფლების ცვლილებისთანავე სასამართლოს თავმჯდომარეობის მოვალეობის შემსრულებლები დანიშნეს სასამართლოს თავმჯდომარეებად 5 წლიანი ვადით²⁷.

2013 წლის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე მოსამართლეთა ამ ჯგუფმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა და სრულად აითვისა სამოსამართლო ქვოტები²⁸.

2013-15 წლებში შეინიშნება დაპირისპირება სამოსამართლო კლანსა და ქართული ოცნების ხელისუფლებას შორის, რაც მკაფიოდ ჩანს როგორც ქართული ოცნების განცხადებებში²⁹, ასევე

ექსპლენდნ“.

<http://liberali.ge/news/view/18446/tsulukiani-reformaze--iustitsiis-sabcho-mosamartleta-distsiplinur-devnaze-uars-ambobs>

²⁵ კონსტიტუციის 42-ე მუხლი, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა. თბილისი, 2017

<https://docs.google.com/presentation/d/1VaMBrNK-4fkKy9-XapcELVX42E0ges1/edit#slide=id.p39> სასამართლო სისტემაში დანერგილი არაფორმალური წესების თანახმად, პოლიტიკური დაკვეთის შესრულება, განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე იყო მნიშვნელოვანი ეტაპი პირის დანიშნულებისთვის. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მოლაშვილის განხილველი მოსამართლის - ზაზა მეიშვილის დანიშვნა უზენაეს სასამართლოში. ე.წ. კაბელების საქმის განხილველი მოსამართლის (ბესიკ ზუგანიშვილი) დანიშნულება სააპელაციო სასამართლოში, ფილიპ მორისის საქმის განხილველი მოსამართლის ლადო კაკაბაძის დანიშნულება უზენაეს სასამართლოში.

²⁶ იხ. კონსტიტუციის 42-ე მუხლი, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა. თბილისი, 2017 [Research Results Geo.pptx - Google Slides](https://ipress.ge/new/konstitutsiis-42-e-mukhli-chinchaladzis-getsadzis-da-miqautadzis-mier-saqmetha-ganatsilebis-sistemith-s-hesadzlo-manipulirebaze-ganmartebes-ithkhovs/), ასევე <https://ipress.ge/new/konstitutsiis-42-e-mukhli-chinchaladzis-getsadzis-da-miqautadzis-mier-saqmetha-ganatsilebis-sistemith-s-hesadzlo-manipulirebaze-ganmartebes-ithkhovs/>

²⁷ იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებები ნიკოლოზ მარსაგივილის, ვასილ მშვენიერაძის, თემურ გოგობიას, ლევან თევზაძის რაიონული (საქალაქი) სასამართლოების თავმჯდომარეებად დანიშვნის თაობაზე.

<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202012/209-2012.pdf>
<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202008/217-2008%20001.jpg>
<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202012/398-2012.pdf>
<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202012/207-2012.pdf>

²⁸ იხ. ინტერვიუ მერაბ ტურავასთან: „მერაბ ტურავა აცხადებს, რომ მოსამართლეთა კონფერენცია იმის გამოსატყულებათ, როგორც დღევანდელი სასამართლო ხელისუფლებათ. მისი თქმით, კონფერენციაზე ნათელი იყო ორი ძალის წიდილი. კერძოდ, ერთ მხარეს იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც სასამართლო რეფორმისა მომხრეები არიან, ხოლო მეორე მხარეს არის აბსოლუტურად მორჩილი უმრავლესობა. ტურავა ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლო პროკურატურის გავლენისგან განთავისუფლდა და ახალი ხელისუფლებისგან მიიღო უფლება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები თავად აერჩია და სასამართლო ხელისუფლების ბედი განესაზღვრათ, 61-მა მოსამართლემ დღევანდელი ვითარება კარგად გაითავისა, ხოლო 190-მა მოსამართლემ ისევ მორჩილებაში ყოფნა აირჩია“.

<https://for.ge/view/23264/mosamarTleTa-konferenciaze-ocnebas-nacionalebma-penalti-daurtyes.html>

²⁹ იხ. ნიქარშივილი კ. კლანური მმართველობა სასამართლოში 2007 წლიდან დღემდე <https://dfwatch.net/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90-53161> 2013-2015 წლებში სასამართლოს გადანყვეტილებები ხშირად იწვევს ქართული ოცნების გაღიზიანებას: იხ. ირაკლი ლარიაშვილის განცხადება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საქმეზე: „მოსამართლე, რომელმაც მიიღო ეს გადაწყვეტილება, აუცილებლად უნდა წარსდგეს პირველ რიგში, სამოგალოების წინაშე და განმარტოს, რატომ იღებს ასეთ დივერსიულ გადაწყვეტილებებს“ <https://tabula.ge/ge/news/573766-premeri-mosamartlem-ganmartos-ratom-daaqadagha> იხ. თეა

საკანონმდებლო და გაცხადებულ საკადრო პოლიტიკაში³⁰, ხოლო 2015 წლიდან იწყება კლანსა და ქართულ ოცნებას შორის თანამშრომლობის პერიოდი რაც გამოიხატა იმაში, რომ რადიკალურად შეიცვალა ქართული ოცნების საკანონმდებლო³¹, საკადრო³², პიარ პოლიტიკა, სამართლებრივი პოლიტიკა³³ და ის იქცა კლანის ძალაუფლების მხარდამჭერად.

დღეისათვის კლანად მოიხსენიება მოსამართლეთა ურთიერთაკავშირებული ჯგუფი, რომელიც მართავს სასამართლოს აქვს ფარული კავშირები პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, ზეგავლენას ახდენს მოსამართლეებზე და მათ გადაწყვეტილებებზე, ერევა მართლმსაჯულების განხორციელებაში³⁴.

წულუკიანის განცხადება: მაგრამ სასამართლო დღეს თამაშობს პოლიტიკური ოპოზიციონერის როლს - სურს, დაამტკიცოს, რომ ის გათავისუფლდა პროკურატურის წნეხისგან და გახმაურებულ საქმეებზე იღებს პროკურატურის საპირისპირო გადაწყვეტილებებს. სამოგადოებამ კარგად უნდა გაიგოს, რომ ამ ხალხს ათავისუფლებს კუბლაშვილის სასამართლო და არა პროკურატურა. ამას შეიძლება ზუსტად ისეთივე კვალიფიკაცია მიეცეს, როგორც ადრე - კუბლაშვილის სასამართლო დღესაც შერჩევით სამართალს ეწევა. თუ ადრე პროკურატურის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღება კუბლაშვილს ეთვლებოდა ნაციონალურ მხარდაჭერად, დღეს პროკურატურის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება კუბლაშვილს ისევე "ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერად ეთვლება. <https://for.ge/view/18992/Tea-wulukiani-sazogadoebam-kargad-unda-gaigos-rom-am-xalxs-aTavisuflebs-kublaSvilis-sasamarTlo-da-ara-prokuratura.html?fbclid=IwARoSNKw6VKsd3PJKaDIXqA1UY88GgIN5OrDVoHrRW72Jg8AAcIKT1AcGrUo> ის ასევე თეა წულუკიანის განცხადება: არ შეიძლება გირგვლიანის მოსამართლე ხელმძღვანელობდეს მოსამართლეებს თუნდაც ერთი საათით - <https://www.youtube.com/watch?v=FCkyoEdTz8I&t=5048s> 1:51 წუთზე.

³⁰ იხ. ინტერვიუ თეა წულუკიანთან: „ბევრჯერ ვთქვი და კიდევ ვიგყვი, ისეთ ადამიანებს როგორებიც არიან გიორგი ჩემია, ნაირა გიგიაშვილი, ლევან თევზაძე, დავით კეკელიძე, ესენი ჩემს თვალში არ არიან მოსამართლეები, მათ არ შეიძლება ებაროთ ადამიანების ბუდი, მაგრამ ისე ქნა ბუდის უკუდამართობამ, რომ მათ მოსამართლეები ჰქვიათ და მოსამართლის უცვლელობის პრინციპი მოქმედებს. ჩვენ მოვიფიქრებთ მექანიზმებს, როგორ მოვუაროთ ამ პრობლემას, მაგრამ წინასწარ დაწერილი მექანიზმი არ არის, ეს არის ურთულესი პრობლემა“ <http://liberali.ge/articles/view/2708/tea-tsulukianis-prioritetebi> ინტერვიუ ზაქრო ქუცნაშვილთან: ის მოსამართლეები რომელთა მიმართ არსებობს დაუსაბუთებელი და უსამართლო გადაწყვეტილებების ნიშნით სერიოზული კითხვის ნიშნები, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ორ წელში თუ სამ წელში ეწურებათ ვადა. ამიგომ ოუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა იმუშაოს ძალიან პირინციპულად და კოლეგიალობის პრინციპმა და ხათრის პრინციპმა არ უნდა გაიმარჯვოს სამართლიანობის პრინციპზე. 25 ე წუთზე: https://youtu.be/UOB8_7q0xw

³¹ მიღებული იქნა რიგი კანონები კლანის ძალაუფლების მხარდასაჭერად, მაგ. უზენაესი სასამართლოს კანდიდატის ნომინირების უფლება გადაეცა პრეზიდენტიდან ოუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ოუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრობის უფლება მიეცათ სასამართლოს თავმჯდომარეებს (რაც გაუქმებული იყო „მართლმსაჯულების რეფორმის პირველი გადღის ცელილებით“), ასევე 2017 წლის 8 თებერვალს, მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის პაკეტით უზენაესი სასამართლოს მოქმედი ან ყოფილი წევრები გათავისუფლდნენ მოსამართლედ დანიშვნის წინ 5 საქმის შეფასებიდან, რამაც გააჩინა ეჭვი რომ ეს ცვლილება მიხეილ ჩინჩალაძე იყო მორგებული, 2022 წლის დეკემბრის ცვლილებებით გაუქმდა მთელი რიგი გარანტიები, რომლებიც უკავშირდებოდა მოსამართლეთა მივილინებას და გაფართოვდა ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისკრეცია ამ მიმართულებით.

³² ეკა ბესელიას განცხადებით მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი 2018 წლის ბოლოს პირდაპირ ერეოდა სასამართლოს საკადრო საქმეებში და ლობირებდა ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შედგენილ 10 კაცთან სიას <https://www.youtube.com/watch?v=QiaZGoDzaQo> 41-ე წუთიდან.

³³ კლანის წევრების წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის საქმეები შეწყდა ან შეჩერდა (იხ. მაგ. მამია ფხაკაძის, ბადრი შონიას და გიორგი მიქაუტაძის მიმართ მიმართული სისხლის სამართლის საქმეები <https://mcm.ge/19790/> , shorturl.at/jRW48, <https://formulanews.ge/News/50998>

³⁴ მართლმსაჯულების განხორციელებაში კლანის ჩარევებზე მეტყველებს ყოფილი ან მოქმედი მოსამართლეების, მაგ. ნუნუ ნემსინვერიძის, ლალი ლაზარაშვილის, ირაკლი შავაძის, თამაზ ჯალიაშვილის საჯარო განცხადებები. ასევე ამ მეტყველებს სუსის გახმაურებული „კრებსები“ რომლებთან დაკავშირებით გამოძიება ამჟამად მიმდინარეობს. https://www.youtube.com/watch?v=iBVQ_nAys1E

კლანის დაქვემდებარებაშია ყველა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამდებობა სასამართლოში³⁵ - იუსტიციის უმაღლესი საბჭო³⁶, დამოუკიდებელი ინსპექტორი³⁷, იუსტიციის უმაღლესი სკოლა³⁸, სასამართლოების თავმჯდომარეები³⁹. კლანი აკონტროლებს უზენაესი სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოების პალატებს.

კლანის წევრებს პერიოდულად ხორციელდება როტაციულ გადაადგილებები⁴⁰, ასევე ხდება კლანის მხარდამჭერთა რიგების შევსება ახალბედა კადრებით. 14 წლის განმავლობაში უწყვეტი მმართველობის შენარჩუნებამ გავლენა იქონია სხვა მოსამართლეებზე და გაჩნდა მოსამართლეთა ჯგუფი (განსაკუთრებით ახალგაზრდები), რომელთა მიზანს კლანის წევრად ან ფავორიტად ქცევა წარმოადგენს.

გარდა იმისა, რომ კლანური მმართველობა ერევა კონკრეტულ საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაში, ის ამსხვრევს სამოსამართლო ღირებულებებს, მოსამართლეებში ნერგავს ღუმილის და მორჩილების კულტურას, ახშობს განსხვავებულ აზრს⁴¹, სასამართლოსგან განიზიდავს დამოუკიდებელ კადრებს. ფაქტობრივად სასამართლო იერარქია სამოსამართლო ღირებულებების სანინააღმდეგოდ არის აგებული: კარიერული წინსვლის უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მას ვისაც აქვს დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი და სასამართლოს მმართველ ელიტას ყველაზე მეტად უმტიციებს ერთგულებას.

2016 წლიდან კლანსა და მმართველ გუნდს შორის თანამშრომლობა გაცდა კონკრეტულ საქმეებს და მუდმივ პარტნიორობაში გადაიზარდა. კლანი ხელისუფლებისგან იღებს პოლიტიკურ, საკანონმდებლო, საკადრო და სხვა სახის დახმარებას. ამ თანამშრომლობის შედეგად კლანმა მიიღო სრული საკადრო ძალაუფლება სასამართლოში რაც გამოიყენა სისტემის დასაკომპლექტებლად მისთვის სასურველი კადრებით როგორც მოსამართლეების ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლების და ყველა თვითმმართველო ორგანოს ღონებზე.

³⁵ ბოლო წლების განმავლობაში კლანის წევრების როტაცია მმართველ თანამდებობებზე აღწერილია ასევე საიას ანგარიშში <https://civil.ge/ka/archives/387235>

³⁶ იხ. მაგ. <https://www.youtube.com/watch?v=xv1wAIGT8j4>

³⁷ პირველი დამოუკიდებელი ინსპექტორი ქეთევან ცინცაძე იყო მიხეილ ჩინჩალაძის თანაშემწე, ხოლო მეორე ინსპექტორი - ზურაბ აზნაურაშვილი არის იუსტიციის საბჭოს ყოფილი წევრის თამარ ონიანის მაზლი, ასევე მიხეილ ჩინჩალაძის მეჯვარის ძმა. <https://www.youtube.com/watch?v=xv1wAIGT8j4>

³⁸ სკოლის დირექტორი ვანო ბოლქვაძე სამსახურებრივად მიხეილ ჩინჩალაძესთან დაახლოებული პირია

³⁹ მენეჯერულ თანამდებობებზე კლანის წევრთა გადანაწილება - საიას კვლევა https://qyla.ge/ge/post/vitsro-tsre-sasamartloshi-menejerul-tanamdebobebze-klanis-tsevrt-aqanatsileba?fbclid=IwAR2xRJkY_wE4DxwPQj03re6PUAOssDmrsx01YL0pvsWlTmSosuhZrNdAo2c#sthash.7TK7T0Z1.dpbs

⁴⁰ <https://civil.ge/ka/archives/387235>

⁴¹ კლანის იდეოლოგია სასამართლოს შიგნით განსხვავებულ აზრს ახშობს იმ საფუძველით რომ მხოლოდ ერთად დგომით შეუძლიათ მოსამართლეებს გარე საფრთხეების ნეიტრალიზება. ერთ ერთმა მოსამართლემ განსხვავებული აზრის არ არსებობა შემდეგნაირად ახსნა: „ხდება კოლექტივის ჩაკეტვა, ასე ვთქვათ, ერთ მუშტად ანუ შენ ხელები, რომ შენს კოლეგას კი არ უტევენ, ზოგადად სისტემას უტევენ და შენც გიტევენ. შენ უკვე შენი ცუდის გამოაშკარავება გეზინია, იმდენად, რამდენადაც ის გამოყენებული იქნება მთლიანი სისტემის წინააღმდეგ. ეს, ჩემი აზრით, ძალიან ცუდად მოქმედებს შიდა ფილტრაციაზე. სხვა სიტუაციაში შენ პრეტენზიას წამოაყენებდი, მათ შორის, შენი კოლეგების მიმართ, რაც არ მოგწონს. ზოგადად, სისტემის წარმატებისთვის კარგია, როდესაც ჯანსაღი აზრი არსებობს, მათ შორის, კრიტიკული აზრი, მაგრამ როდესაც შენ გარედან გიტევენ“ იხ. ნინო წერეთელი და სალომე კვიციანი - მოსამართლეთა თვითმმართველობა საქართველოში - პრობლემები და პერსპექტივები https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_1588866567.pdf

პოლიტიკურ ხელისუფლებას კლანი უკავშირდება ან პირდაპირ ან შუამავლების, მათთან დაახლოებული პირების მეშვეობით⁴².

კლანი მართლმსაჯულებას აკონტროლებს იმ დობით რა დობითაც ეს ესაჭიროება პოლიტიკურ ხელისუფლებას და თავად კლანს (საქმეებზე სადაც არსებობს პოლიტიკური, კორუფციული ან კლანური ინტერესები) ასეთი ჩარევის მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ კაბელების საქმე, ფილიპ მორისის საქმე, თბილავიამშენის საქმე, მეგროს მემანქანების საქმე, ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმე და სხვ⁴³.

სასამართლოში კლანურ მმართველობას ხელს უწყობს მრავალი ფაქტორი, მათ შორის

- ის რომ 2012 წლიდან ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არ მომხდარა სასამართლო სისტემის წარსულის სიღრმისეული გააზრება და შეფასება. არ მომხდარა იმ პირთა მხილება, რომლებიც მართავდნენ და ორგანიზებას უწევდნენ პოლიტიკურად მორჩილ სასამართლო სისტემას.
- საკადრო პოლიტიკა რომელიც დიდი ხანია არსებობს სასამართლო სისტემაში (სამოსამართლო კადრების შევსება სასამართლო აპარატის თანამშრომლებიდან)⁴⁴.
- საზოგადოების შემორჩენილი არაფორმალური კულტურა, რომლითაც საქმის „ჩანყობა“ არის არა გასაკიცხი/არაკანონიერი ქმედება, არამედ მიზნის მიღწევის ადეკვატური და აპრობირებული საშუალება.
- ის რომ 2012 წლიდან დღემდე უფლებამოსილების ვადა ამოწურა პრაქტიკულად ყველა მოსამართლეს და მათი უვადო გადანიშნვა განხორციელდა კლანის კონტროლის ქვეშ მყოფი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით.
- მოსამართლეებზე ზეწოლის გამო კლანის წევრების დაუსჯელობა და პირიქით მათი დაწინაურება, ან სხვაგვარი ნახალისება, ამის მაგალითია ლევან თევზაძის⁴⁵, ვასილ როინიშვილის⁴⁶, ირაკლი შენგელიას⁴⁷, დავით მამისეიშვილის⁴⁸ შემთხვევები.
- ის რომ არ მომხდარა წინა ხელისუფლების დროს კლანის მიერ უსამართლოდ დევნილი მოსამართლეების დიდი ნაწილის რაიმე სახით რეაბილიტაცია.
- ქართულმა ოცნებამ არ გადაიხადა სასამართლოს დამორჩილების პოლიტიკური ფასი და მან შეძლო არჩევნების გზით ხელისუფლების შენარჩუნება 2012 წლიდან დღემდე.

⁴² მაგ. დებუტატი ვანო ზარდიაშვილი (მიხეილ ჩინჩალაძის მეჯვარე), (<https://rustavi2.ge/ka/news/80019> , ის აგრეთვე <https://www.youtube.com/watch?v=QiaZGoDzaOo> 28-ე წუთიდან). ხოლო 2020 წლის შემდეგ სავარაუდოდ ამ ფუნქციას ასრულებს ალუდა ლუდუშაური, რომელიც არის კლანის წევრის - ირაკლი შენგელიას დისშვილის ქმარი.

⁴³ https://www.transparency.ge/sites/default/files/corruption_risks-geo.pdf აგრეთვე, დემოკრატიის ინდექსი/დამოუკიდებელი ოურისტების ჯგუფი - სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის კვლევა, 2021, https://democracyindex.ge/uploads_script/studies/tmp/phpu0119u.pdf?fbclid=IwAR1ZclJf2eZMha9X6gVWAmRad9MxBnrVATB0R-d21vmH4z-veFDkhG20Tgc ასევე დამოუკიდებელი ოურისტების ჯგუფის განცხადება ხაზარაძე/ჯაფარიძე/წერეთლის საქმეზე https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbidOiggiNpgfG2TdKyBFDL7nAhdhbfFWY8r2vrJpZFRHSw4EvCp5KHYSZU67XuSQbKUI&id=648795978915557 გამოტანილ განაჩენზე

⁴⁴ 2012 წლის შემდეგ სასამართლო სისტემაში დანიშნული 120 ახალი მოსამართლიდან 104 არის სასამართლოს ყოფილი თანამშრომელი (თანაშემწე, სტომოს მდივანი, კანცელარიის თანამშრომელი, ა.შ.).

⁴⁵ - <https://www.facebook.com/kakha.tsikarishvili/videos/961218318031994>;

⁴⁶

<https://kvirispalitra.ge/article/16887-yofili-mosamarthle-kote-kublashvils-amkhels-eqskluzivi/>

⁴⁷

<https://www.facebook.com/kianiundawavides/videos/2441294575984987/>

⁴⁸ [მოსამართლე ირაკლი შავაძე სასამართლოს თავმჯდომარეს ზენოლაში ადანაშაულებს \(reginfo.ge\)](https://www.reginfo.ge/)

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნება ღიად საუბრობს წინა ხელისუფლების დროს მოსამართლეებზე არსებულ გეწოლებზე და სისგემურ მორჩილებაზე, საჯარო გასაუბრებებზე მოსამართლეები თავს იკავებენ წარსულში არსებული პრობლემებზე საუბრისგან⁴⁹. სავარაუდოდ, მიზეზი არის ის, რომ მათ არ უნდათ პრობლემა შეუქმნან კლანს, რომელიც მართავდა სასამართლო სისტემას ასევე წინა ხელისუფლების დროს.

5. ძალაუფლების კონცენტრაცია

სასამართლო სისტემაში ძალაუფლება ფორმალურად კონცენტრირებულია ერთი ორგანოს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში, კერძოდ, ამ ორგანოს ხელში თავმოყრილია ისეთი ფუნქციები, როგორცაა: საკადრო (მოსამართლეთა დანიშვნა, შეფასება, დაწინაურება, დისციპლინირება), საგანმანათლებლო (საბჭოს როლი იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფორმირებაში), ადმინისტრირების (მათ შორის, სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიისა და საშტატო ნუსხის განსაზღვრა, სასამართლოთა სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნა და სხვ.), სასამართლოების მაგერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვ.;

რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში ადმინისტრაციული ბერკეტები თავმოყრილია სასამართლოს თავმჯდომარეების ხელში, რომლებსაც ასევე საბჭო ნიშნავს. ძალაუფლების ამ ბერკეტებს კარგად იყენებს კლანი რომელიც კადრებს არჩევს ერთგულების ნიშნით და ამასთან ერთად ახდენს გადაწყვეტილებაუნარიან პოზიციებზე ერთი და იგივე პირების როტაციას⁵⁰. აღნიშნული პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს 2021 წლის დეკემბრის კანონით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ერთი და იგივე პირის ორჯერ არჩევის აკრძალვის გაუქმება.

6. მოსამართლეთა დანიშვნა

მოსამართლის დანიშვნა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. კომპენეტენტური, კეთილსინდისიერი და დამოუკიდებელი კადრების შერჩევა განაპირობებს სასამართლო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. მოსამართლეთა დანიშვნის საერთაშორისო სტანდარტები ყურადღებას ამახვილებენ მოსამართლეთა დანიშვნის დროს ობიექტური კრიტერიუმების არსებობაზე, დამნიშნავი ორგანოს დამოუკიდებლობაზე, პროცედურების გამჭვირვალობასა და სამართლიანობაზე.

იმ შემთხვევაში თუ მოსამართლეები თანამდებობებზე ფარული გარიგებების და პაგრონაჟის საფუძველზე დანიშნებიან ეს უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს სასამართლო სისტემისთვის⁵¹.

⁴⁹ იხ. კონსტიტუციის 42-ე მუხლი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებების ანალიზი <https://drive.google.com/file/d/1sc2lPbMqVe4r-aGfpFd8UQ-uobK1R8Vn/view?usp=sharing>

⁵⁰ მენეჯერულ თანამდებობებზე კლანის წევრთა გადანაწილება - საიას კვლევა https://qyla.ge/ge/post/vitsro-tsre-sasamartloshi-menejerul-tanamdebobebze-klanis-tsevrta-ganatsileba?fbclid=IwAR2xRJkY_wE4DxwPQj03re6PUAOssDmrsx01YLOpvsWLTmSosuhZrNdAo2c#sthash.7TK7T0Z1.dpdx

⁵¹ https://www.transparency.ge/sites/default/files/corruption_risks-geo.pdf გვ. 34

ჩვენ შედეგად მივიღებთ საერთო (ნათესაური, კლანური, ბიუროკრატიული და სხვა) ინტერესებით ურთიერთგადაჯაჭვულ სისტემას.

საქართველოში 2014 წლიდან ამოქმედდა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით გადანიშვნის მექანიზმი. მოსამართლეების აბსოლუტურ უმრავლესობას გაუვიდა უფლებამოსილების ვადები 2013-2021 წლებში. ამ წლებში მოსამართლეების გადანიშვნა ხდებოდა უმეტესწილად კლანის მიმართ მათი ერთგულების ნიშნით⁵². კლანის მიმართ ერთგულება გულისხმობს იმას, რომ კანდიდატი მზად არის როგორც მინიმუმ თავი შეიკავოს კლანის წინააღმდეგ რაიმე მოქმედების ან საჯარო გამოსვლისგან, როგორც მაქსიმუმ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ყოველთვის კლანის მხარდაჭერილ კანდიდატს დაუჭიროს მხარი⁵³.

2013-21 წლებში ჩატარებული სასამართლო რეფორმების შედეგად, ნაცვლად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ მომხდარიყო სასამართლო კორუფსიის გაწმენდა დისკრედიტირებული კადრებისგან, ამის საპირისპიროდ უვადოდ გადაინიშნენ დაბალი სამოგალოებრივი ნდობის მქონე მოსამართლეები, რომლებმაც წინა ხელისუფლების დროს თავი გამოიჩინეს პოლიტიკური დაკვეთების შესრულებით⁵⁴.

2015 წელს, როდესაც არამოსამართლე წევრების: ევა გოცირიძის, ვახტანგ თორდიასა და კახა სოფრომაძის ხმები გადაწყვეტი ადმოიწინა საქართველოს ისტორიაში ერთ ერთი ყველაზე გახმაურებული საქმის მოსამართლის – ლევან მურუსიძის დასაბრუნებად, მათ გააფრცვლეს განცხადება, სადაც ახსნეს თავიანთი გადაწყვეტილების მიზეზი. ერთ-ერთი არგუმენტი იყო მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის არსებობდა გარკვეული გარიგება, რომლის შედეგად მოხდა როგორც მოსამართლე წევრების, ასევე არამოსამართლე წევრთა მიერ მხარდაჭერილი კანდიდატების დანიშვნა. ამ განცხადებით არამოსამართლე წევრებმა აღიარეს, რომ ისინი გადაწყვეტილებებს კონკრეტული კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის კრიტერიუმით კი არ იღებდნენ, არამედ სხვა, კანონით გაუთვალისწინებელი მოსაზრებებით⁵⁵.

⁵² კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიერ ჩატარებული კვლევით გამოკითხული რესპოდენტების - ყოფილი მოსამართლეების უმრავლესობა და მოქმედი მოსამართლეების ნახევარი მიუთითებენ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში არაფორმალურ ზეგავლენებზე. იხ. <https://docs.google.com/presentation/d/1VaMBrNK-4fkKy9-XapcEIVVX42E0ges1/edit#slide=id.p13>

⁵³ ამის შედეგია ის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კლანის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს არ ჰყავს კონკურენტი და მოსამართლეთა კონფერენცია ირჩევს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

⁵⁴ განსაკუთრებით საყურადღებოა „გიორგილიანის საქმის“ განმხილველი მოსამართლეების ლევან მურუსიძის და ნაირა გიგიტაშვილის უვადოდ გადანიშვნა. 2012 წელს საქართველოს პარლამენტმა 190 ადამიანი ცნო პოლიტ პატიმრად <https://old.civil.ge/geo/article.php?id=26299>. თუმცა 2013-2022 წლებში პოლიტპატიმრების საქმეთა განმხილველ არც ერთ მოსამართლეს არ ეთქვა უარი ამ მოტივით ხელმეორე ვადით გადანიშვნაზე. უფრო მეტიც, უვადოდ გადაინიშნენ მოსამართლეები რომლებსაც თავად (ოპოზიციაში მყოფი) ქართული ოცნების და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ჰქონდათ გამოტანილი აშკარად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები (მაგ. კობა გოცირიძე <https://batumelebi.netgazeti.ge/news/213249/>, გიორგი მიქაუტაძე <https://akhalitaoba.ge/2019/10/giga-bukia-giorgi-migautadzem-saakashvili-dros-bina-tsamarthva/>) ამის საპირწონედ ქართულმა ოცნებამ შეიმუშავა სტრატეგია, რომლის თანახმად “ მოსამართლეები, რომლებიც მასობრივად სწადილდნენ ცუდ რაღაცებს, ახლა სწადიან კარგ რაღაცებს” shorturl.at/EQZO6

⁵⁵ იხ. საბჭოს არამოსამართლე წევრების განცხადება: „უფრო მეტიც, არსებობდა იმის რეალური საფრთხეც, რომ ბატონი მურუსიძის კანდიდატურის უარყოფას შეიძლებოდა გამ ოენვია სხვა, უწინარესად კი იმ კანდიდატებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების წარმოშობა, რომლებსაც არამოსამართ ლე წევრები ვუჭერდით მხარს. კენჭისყრა შესაძლოა დამთავრებულიყო ნულოვანი შედეგით. ეს კი შეუძლებელს გახდიდა მ ოსამართლეთა კორუფსიის შევსებას ახალი კადრებით, რაც დამანგრეველ შედეგებს გამოიწვევდა მართლმსაჯულების სიტემ ისთვის საზოგადოდ, სადაც მოქმედ მოსამართლეთა სიმწირე და მათ მიერ ასანევი სამუშაო ტვირთი, დღეს ისეთი არაპროპ ორციულია, რომ საბჭოს მორალურ უფლებას უკარგავს, პასუხი მოსთხოვოს მოსამართლეებს საქმეთა გაჭიანურებისა თუ უზარისხო გადაწყვეტილებების გამო“.

<http://liberali.ge/articles/view/20133/sabchos-3-tsevri-murusidzis-ardanishvna-msuskhav-efeqts-iqoniebda-samosamartlo-korp usze>

მაშინ როდესაც ნორმალურ ვითარებაში მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა უნდა გახდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტია, საქართველოში მოსამართლეთა გადანიშვნა გახდა სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემებისა და მანკიერი ჩვევების ჩაბეტონების მექანიზმი.

საინტერესოა ის, რომ ზოგი მოსამართლე უფლებამოსილების გასვლის შემდეგ მხოლოდ მეორე ან მესამე მცდელობაზე გადაინიშნა, რაც სავარაუდოდ გულისხმობდა იმას, რომ ამ პერიოდში მას მოუწია კლანისათვის საკუთარი ერთგულების დამტკიცება. ამასთან, კრიტიკულად განწყობილი მოსამართლეები საერთოდ არ გადაინიშნენ თანამდებობაზე იმის მიუხედავად, რომ სასამართლოში ყოველთვის არსებობდა საკადრო დეფიციტი⁵⁶.

გადანიშვნების/დაწინაურების პრაქტიკა ასევე იძლევა იმ ვარაუდის საფუძველს, რომ ზოგიერთი მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ დაინიშნა/დაწინაურდა მხოლოდ მას შემდეგ რაც მან შეასრულა დაკვეთა კონკრეტულ საქმეზე და აღნიშნულით დაუმტკიცა ერთგულება სასამართლოს მმართველობაში მყოფ კლანს⁵⁷.

მოსამართლეთა საგამოცდო ვადა, რომელიც სასამართლო სისტემის რეფორმატორების ამრით უნდა ყოფილიყო სასამართლო კორპუსის გაჯანსაღების წინაპირობა იქცა კლანის ხელში მოსამართლეების დამორჩილების მექანიზმად. მაგალითისთვის გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ თანამდებობაზე არ დაინიშნა მოსამართლე ირაკლი შავაძე, რომელიც ღიად დაუპირისპირდა სასამართლოს თავმჯდომარეს და შესაბამისად სასამართლოში არსებულ გაბატონებულ ჯგუფს⁵⁸.

სასამართლოში არსებული არასახარბიელო ვითარების გამო, სამოსამართლო სისტემა არ იზიდავს პრინციპულ და მოუკერძოებელ კადრებს, შესაბამისად, სასამართლო სისტემის საკადრო არჩევანი ამ საფუძველთაზე შეზღუდულია. სასამართლო სისტემაში ახალი კადრის შედინება ხდება ძირითადად სასამართლო აპარატიდან - თანამშრომლებიდან და სხდომის მდივნებიდან, რაც ხელს უშლის სასამართლო სისტემის მენგალურ გრანზიციას⁵⁹.

ქვემოთ მოყვანილი სქემა ასახავს 2012 წლის შემდეგ მოსამართლედ დანიშნული პირების წინა სამუშაო გამოცდილებას. აღსანიშნავია ის, რომ 2012 წლის შემდეგ სასამართლო სისტემაში დაინიშნა 120 ახალი მოსამართლე. მათგან 104 არის სასამართლოს ყოფილი თანამშრომელი (თუმცა ზოგიერთ მათგანს ასევე აქვს სისტემის გარეთ მუშაობის გამოცდილება). (მხედველობაშია მისაღები ასევე ის,

⁵⁶ ის, რომ საბჭო რეალურად არ აფასებს კანდიდატების კეთილსინდისიერებას აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანიმაც: „სამი წელია ვამბობ, რომ სასამართლო არის რემისგენგული რეფორმებისადმი. ამ დღეებში ამ სასამართლომ, რომელიც 3 წელია უპირისპირდება იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო რეფორმებს, ღიად გამოაჩინა თავისი სახე უკვე ყოველგვარი მოჩვენებითობის გარეშე; სახე, რომელიც არ არის ლამაზი; გამოაჩინა ის, რომ მათ არ სურდათ რეფორმები; მაგალითად, ის, რომ 2014 წლის აგვისტოს კანონით ჩვენ შემოვიტანეთ მოსამართლისთვის აუცილებელი თვისება – კეთილსინდისიერების კრიტერიუმი, და ისინი ამას პრაქტიკაში არ იყენებენ“ <https://netgazeti.ge/law/88075/>


ასეთი მოსამართლეების მაგალითებია - ნათია ქუთათელაძე, თამაზ ჯალიაშვილი, თეა ხამბაძე, მაია ბაქრაძე, დავით ჯუღელი, დავით ლიბრაძე. იხ. აგრეთვე ზემოთ, შენიშვნა 32

⁵⁷ მაგ. ფილიპ მორისის საქმის განხილველი ვლადიმერ კაკაბაძის უვადოდ დანიშვნა და დაწინაურება https://www.transparency.ge/sites/default/files/corruption_risks-geo.pdf მამუკა ახვლედიანის საქმის განხილველი მოსამართლეების- გიორგი გოგიაშვილის და ამირან ძაბუნდის დანიშვნა უზენაეს სასამართლოში. იხ. გასაუბრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გიორგი გოგიაშვილთან და ამირან ძაბუნდის შესახებ.

⁵⁸ [მოსამართლე ირაკლი შავაძე სასამართლოს თავმჯდომარეს ზენოლაში ადანაშაულებს \(reginfo.ge\)](https://www.transparency.ge/sites/default/files/corruption_risks-geo.pdf)

⁵⁹ შესაბამისად, იკლებს კონკურსში მონაწილე პირთა რაოდენობაც. ხშირია შემთხვევები როცა სამოსამართლო ვაკანსიების რაოდენობა აღემატება კონკურსებში მონაწილე პირთა რაოდენობას.

რომ ერთი და იგივე პირი შეიძლება მოხვდეს სხვადასხვა გრაფაში, ვინაიდან ჰქონდეს სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება).



საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის თანახმად (მუხ. 47) მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდას ატარებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. აღსანიშნავია, რომ არ არის დადგენილი ერთიანი კრიტერიუმები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი. შესაბამისად, კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის დროს საბჭო არ არის შეზღუდული რაიმე ობიექტური მოთხოვნებით⁶⁰. დაცული არ არის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტების უსაფრთხოება. 2015 წელს ადგილი ჰქონდა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ტესტების გაუქმვას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოძიებული⁶¹. აღნიშნული წარმოშობს ეჭვს რომ საკვალიფიკაციო ტესტების გაუქმვა კვლავ ხდება.

სიმპტომატურია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევა. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა კონკურსით და ღია გასაუბრებებით ხორციელდება მკაფიოდ გამოვლინდა შემთხვევა, როცა პარლამენტში წარსადგენი სიის გადარჩევა მოხდა საბჭოს წევრების წინასწარი გარიგებით⁶². გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ პრობლემატურია როგორც კანდიდატების კვალიფიკაცია⁶³, ასევე გამოვლინდა კანდიდატებთან შეკითხვების წინასწარ

⁶⁰ იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა, რეფორმები და პერსპექტივები, 2017, გვ. 40

⁶¹ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 4 მარტის წერილი.

⁶² სახალხო დამცველის ანგარიშიდან ვლინდება რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრი წინასწარ შეთანხმდა კანდიდატების იმ სიაზე რომლებისთვისაც უნდა დაეჭირათ მხარი, რათა ეს კანდიდატები გადასულიყვნენ კონკურსის შემდეგ ეტაპზე. იხ. სახალხო დამცველი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-uzenaesi-sasamartlos-mosamartleobis-kandidatbis-iustitsiis-umaghlesi-sabchos-mier-sherchevis-monitoringis-angarishi>

⁶³ http://coalition.ge/files/uzenaesi_sasamarthlos_mosamarthleobis_kandidattha_shefaseba.pdf

შეთანხმების შემთხვევები⁶⁴. წარმატებულ კანდიდატებს აქვთ ღირებულებითი კრიზისი. მათ არ აქვთ გაცნობიერებული სასამართლოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და არ აღიარებენ სასამართლოში სისტემური პრობლემების არსებობას არც 2012 წლამდე და არც 2012 წლის შემდეგ⁶⁵. ხოლო იმ კანდიდატებმა რომლებმაც გასაუბრებაზე აღიარეს სასამართლოს პრობლემური ნარსული, მათი მაღალი კვალიფიკაციისა და ავტორიტეტის მიუხედავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან დაბალი შეფასება დაიმსახურეს და ვერ გადავიდნენ კონკურსის შემდეგ ეტაპზე⁶⁶.

სასამართლო სისტემის ჩაკეტილობაზე მეტყველებს ასევე ის ფაქტი რომ 2019 წლის შემდეგ უზენაეს სასამართლოში ვერ მოხვდა ვერც ერთი მოქმედი ადვოკატი (ერთი გამონაკლისის გარდა, რომელიც ასევე წარმოადგენს სასამართლოს შიდა კადრს⁶⁷) ან აკადემიური სფეროს წარმომადგენელი (სამოსამართლო გამოცდილების გარეშე).

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში ადგილი ჰქონდა ინგერესთა კონფლიქტის არაერთ შემთხვევას, რომლებიც არ ყოფილა ჯეროვნად აღმოფხვრილი⁶⁸.

პრობლემურია ისეთი პირების დანიშვნა მოსამართლეებად, რომელთა დიპლომები კანონით დადგენილ მინიმალურ წინაპირობებს ვერ აკმაყოფილებს⁶⁹ ან ყალბია⁷⁰

სასამართლო ხელისუფლება უარს ამბობს გაასაჯაროოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მიერ ნარსულში მიღებული გადანყვეტილებები, რის გამოც სამოქალაქო სექტორი და პროფესიული საზოგადოება მოკლებულია შესაძლებლობას ადეკვატურად შეაფასოს ამ კანდიდატების პროფესიული უნარები და მათი ნარსული საქმიანობა⁷¹.

⁶⁴ იხ. გასაუბრებები მამუკა ვასაძესთან და რევაზ ნადარაიასთან. <https://www.facebook.com/CoalitionGe/posts/pfbid0SWtGkYkVjVfVPRkVMEcfoFMPYADWh2REzDwXWPwAC6bjHXd8W1gBj5zTw3Xqwl> საიდანაც ჩანს რომ მაღალი ალბათობით იმპიჩმენტის თაობაზე შეკითხვა წინასწარ იყო შეთანხმებული კანდიდატთან.

⁶⁵ კონსტიტუციის 42-ე მუხლი/დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების ანალიზი სასამართლოს დამოუკიდებლობის, სანდოობისა და სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევების კუთხით

⁶⁶ იხ. მაგ. როინ მიგრიაული - პიროვნულად ნურავინ მიიღებთ, იყვნენ მოსამართლეები, რომლებსაც ჩამოსარეცი მართლაც აქვთ, იმიტომ, რომ უმწიკლოდ ემსახურებოდნენ იმ ხელისუფლებას https://1tv.ge/news/roin-migriauli-pirovnulad-nuravin-miighebt-iyvnen-mosamartleebi-romlebsac-chamosarecki-martlac-aqvt-imitom-rom-umwikvlod-emsakhurebdodnen-im-khelisuflebas/?fb_comment_id=2425891384130109_2426682010717713

⁶⁷ <https://www.supremecourt.ge/structure/plenum/id/68> საუბარია ალექსანდრე ნულაძეზე, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევის დროს იყო მოქმედი ადვოკატი, თუმცა წლების განმავლობაში ის იყო უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების უფროსი- <https://www.supremecourt.ge/structure/plenum/id/68>.

⁶⁸ იხ. აგრეთვე სახალხო დამცველი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში.

⁶⁹ <https://drive.google.com/file/d/1vz6YAaNoa9GVs8s3LsFL-5dfluYnsJm/view>

⁷⁰ <https://www.transparency.ge/ge/blog/tadumazis-diplomis-namdvilobaze-kitxvebs-pasuxi-unda-gaeces> ;

<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98/30207602.html>

⁷¹ იხ. კონსტიტუციის 42-ე მუხლი სასამართლო ხელისუფლებას მოუწოდებს უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატების გადაწყვეტილებები (განაჩენები) გაასაჯაროოს

<https://old.newposts.ge/?newsid=214360-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90.%20%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D>

პრობლემატურია მოსამართლეობის კანდიდატებთან (პირველი და სააპელაციო ინსტანციის) გასაუბრება საბჭოს დახურულ სხდომაზე, რასაც ადგილი აქვს უმეტეს შემთხვევებში.

უმენაესი სასამართლოს კონკურსებში მონაწილეობას არ იღებს კომპეტენტური იურისტების ფართო სამოგადოება (ცნობილი ადვოკატები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, ა.შ. რომლებსაც არ აქვთ წარმატების იმედი). მათ იმედგაცრუებას იწვევს ის ფაქტი რომ უმენაესი სასამართლოში ვერ მოხდნენ აღიარებული იურისტები. კანდიდატის გულწრფელობა სასამართლო წარსულთან დაკავშირებით მისი დაბლოკვის უპირობო საფუძველია⁷².

2021 წელს საერთო სასამართლოების შესახებ კანონში მიღებული ცვლილებებით დადგინდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უმენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის გადაწყვეტილების დასაბუთება, თუმცა როგორც კვლევები ადასტურებენ აღნიშნულ დასაბუთებას აქვს შაბლონური ხასიათი და ეს ვალდებულება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ხელს არ უშლის გაიყვანოს მისთვის სასურველი (მათ შორის არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი) კადრი⁷³.

კლანისადმი მორჩილი მოსამართლეების დანიშვნა/დაწინაურება დანარჩენ სისტემას აძლევს სიგნალს რომ მნიშვნელობა აქვს არა ცოდნას, კვალიფიკაციას და დამოუკიდებლობას, არამედ კლანისადმი ერთგულება ერთადერთი სავალდებულო ბერკეტი წარმატების მისაღწევად.

7. მოსამართლეთა დაწინაურება

მოსამართლეთა დაწინაურება არ ხორციელდება მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. ის კლანის ხელში არსებული წამახლისებელი ბერკეტი და დაწინაურება ხორციელდება ძირითადად კლანის მიმართ ერთგულების ნიშნით. ამ მექანიზმს კლანი იყენებს ასევე რაიონული სასამართლოებიდან საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა

⁷²

<https://1tv.ge/news/roin-migriauli-pirovnlad-nuravin-miighebt-iyvnen-mosamartleebi-romlebsac-chamosareckhi-martlac-aqvt-imitom-rom-umwikvlod-emsakhurebdodnen-im-khelisuflebas/> იხ. აგრეთვე ზემოთ, შენიშვნა 65

⁷³ იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, განცხადება <https://socialjustice.org.ge/ka/products/uzenaesi-sasamartlos-mosamartleta-kandidatebis-shercheva-tvitneburad-da-usamartlod-mimdinareobs> : „მოსამართლეთა შერჩევის პროცესში კანდიდატების კვალიფიკაციის შეფასება, იმეათი გამოწვევების გარდა, მთლიანად ეფუძნებოდა შაბლონურ მიდგომებს. საბჭოს წევრები უმეტესად იყენებდნენ შმა ტერმინოლოგიასა და ფრაზებს, რათა კანდიდატისთვის მინიჭებული მაღალი ან დაბალი ქულები გაემართლებინათ. შესაბამისად, დასაბუთებების ხარისხი და მოცულობა იყო მწირი, არ ეფუძნებოდა კანდიდატების კვალიფიკაციის, გასაუბრების დროს გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების და მათი პიროვნული მახასიათებლების სიღრმისეულ და კონკრეტულ გამოკვლევას. ამ დასკვნას დამატებით ამყარებს ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში სხვადასხვა შემფასებლების კომენტარები კანდიდატების მიმართ იყო იდენტური ან მსგავსად ფორმულირებული. შაბლონური იყო კეთილსინდისიერების კომპონენტის შეფასების ნაწილებიც. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვადასხვა წევრის შეფასებებში გაბნეულად არის ფაქტობრივი ინფორმაციები კანდიდატების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება, დისციპლინური ღვენა, ბიზნეს საქმიანობა, მედიაში მათ შესახებ არსებული ინფორმაციები სხვადასხვა საქმეებთან კავშირში, სისხლისსამართლებრივი ღვენის შემთხვევები და სხვა. თუმცა, ასეთი ინფორმაციების შეფასება, გამოწვევის შემთხვევების გარდა (სადაც ეს უმთავრესად შაბლონურ და შედაპირულ ხასიათს ატარებს), არ ხდება“.

გადასაყვანად. გავრცელებულ ტენდენციას წარმოადგენს პოლიტიკური და სხვაგვარი დავალებების შემსრულებელი მოსამართლეების დაწინაურება⁷⁴.

სასამართლოში შექმნილია არაფორმალური კულტურა, რომლის თანახმადაც მოსამართლე რომელსაც სურს სისტემაში კარიერული გადაადგილება ვალდებულია საკითხი წინასწარ არაფორმალურად შეუთანხმოს კლანს⁷⁵.

უვალოდ დანიშნულ მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების საკანონმდებლო დონეზე განერილი სისტემა არ არსებობს. საბჭომ 2011 წელს, მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებით, დაამტკიცა პერიოდული შეფასების სისტემა, რომელიც უმეტესწილად ვერ პასუხობს მოსამართლეთა შეფასების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და შეიცავს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკებს⁷⁶. მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემა ამჟამად არ გამოიყენება. ბოლო წლების განმავლობაში საბჭოს მიერ დამკვიდრდა მოსამართლეთა ზემდომ ინსტანციაში გადაყვანის პრაქტიკა, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 37-ე მუხლს ეყრდნობა.

საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშით პრობლემურია 37-ე მუხლის საფუძველზე მოსამართლეთა ზემდომ ინსტანციაში გადაყვანის არსებული პრაქტიკა. ვინაიდან: იგი „არ ეფუძნება კონკრეტული სასამართლოს საკადრო საჭიროების შესახებ სიღრმისეულ კვლევას; ზედაპირული და არაშინაარსობრივია გასაუბრების მიმდინარეობის პროცესიც, რომელიც რამდენიმე წუთი გრძელდება და ძირითადად კანდიდატის მოტივაციის შესახებ ინფორმაციას ეხება; გაუგებარი და არათანმიმდევრულია მოსამართლეთა უმეტესობის თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადმოყვანის ტენდენცია, მაშინ როცა რაიონულ სასამართლოებში, მოსამართლეთა რაოდენობა გაცილებით უფრო პრობლემურია; დაუსაბუთებელია საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. შესაბამისად, გაუგებარია ნამდვილად დამსახურების მიხედვით გამოიყენა თუ არა საბჭომ დადგენილი წესები და კრიტერიუმები კონკრეტული კანდიდატისთვის უპირატესობის მინიჭების დროს“⁷⁷.

⁷⁴ კონსტიტუციის 42-ე მუხლი, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების თაობაზე პრაქტიკოსი იურისტების აზრის კვლევა. თბილისი, 2017 <https://docs.google.com/presentation/d/1VaMBrNK-4fkKy9-XapcEIVVX42E0ges1/edit#slide=id.p39> იხ. მაგ. სულხან მოლაშვილის საქმის განმხილველი მოსამართლის (ზაზა მეიშვილის) დაწინაურება უზენაეს სასამართლოში, ე.წ. კაბელების საქმის განმხილველი მოსამართლის (ბესიკ ბუგაიანიშვილი) დაწინაურება სააპელაციო სასამართლოში, მამუკა ახვლედიანის გათავისუფლების შესახებ საქმის განხილველი მოსამართლეების - გიორგი გოგიაშვილის და ამირან ძაბუნაძის დაწინაურება უზენაეს სასამართლოში.. ასევე დიმიტრი გვრიტიშვილის დაწინაურება, რომელმაც განიხილა დავა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ საარჩევნო დავა, რომელიც მარნეულის #13.22.65 უბანზე მომხდარ დარღვევას შეეხებოდა, კერძოდ, უბანზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ დამკვირვებელმა დააფიქსირა პირი, რომელმაც სულ მცირე ათჯერ მისცა ხმა, მათ შორის სამჯერ მოხერხდა მისი ქმედებების ვიდეო ჩანაწერით დადასტურება. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობდა უტყუარი მტკიცებულებები მოსამართლე გვრიტიშვილმა სარჩელი არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა აღნიშნულ უბანზე მიღებული შედეგები https://transparency.ge/sites/default/files/mosamarleta_dacinaureba_2.pdf გვ. 35

⁷⁵ იხ. მაგ. https://transparency.ge/sites/default/files/mosamarleta_dacinaureba_2.pdf გვ. 28

⁷⁶ იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა, რეფორმები და პერსპექტივები, 2017, გვ. 7 <http://ewmi-prolog.org/images/files/8047%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90.pdf>

⁷⁷. https://transparency.ge/sites/default/files/mosamarleta_dacinaureba_2.pdf გვ. 31 ასევე, https://democracyindex.ge/uploads_script/studies/tmp/phpu01l9u.pdf?fbclid=IwAR1ZcLJf2eZMha9X6gVWAmRad9MxBnrVATB0R-d21vmH4z-veFDkhG20Tgc გვ. 19.

8. საკადრო კრიზისი სასამართლოში, მოსამართლეთა დაგვირგობა, საქმეთა გაჭიანურება და მართლმსაჯულების ხარისხი

2013 წლის შემდეგ საქართველოს სასამართლოებში მუდმივად არსებობს საკადრო კრიზისი, რასაც სავარაუდოდ ხელოვნურად ხელს უწყობს იუსტიციის უმაღლესი საბჭო⁷⁸. იუსტიციის საბჭო მუდმივად იყენებს ამ კრიზისს მოსამართლეთა ნაჩქარევი დანიშვნების გასამართლებლად, ასევე, მოსამართლეთა მცირე რაოდენობა გაცილებით ამარტივებს კონტროლს სასამართლო კორპუსზე. მოსამართლეთა ნაკლებობა იწვევს საქმეთა გაჭიანურებას, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის კლებას. იმავდროულად არის შემთხვევები, როდესაც განკუთრებულად დაჩქარებულ ვადებში განიხილება მოგიერთი საქმე, რამაც შესაძლოა არსებობდეს კორუფციული ან პოლიტიკური ინტერესი⁷⁹.

მაღალია დაგვირგობილი მოსამართლის მიერ უფრო მაღალია დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ალბათობა, რაც დამატებით ბერკეტებს აძლევს კლანს. ის ან დაიცავს ასეთ მოსამართლეს, ან გამოიყენებს ამ მდგომარეობას მის წინააღმდეგ.

მოსამართლეთა დაგვირგობა ასევე ხელს უშლის მოსამართლეთა იმუშაონ თვითგანვითარებაზე.

საქმეთა გაჭიანურება სასამართლოში საყოველთაოდ აღიარებულია. პრობლემის მიზეზად მოსამართლეთა ნაკლებობა სახელდება, თუმცა საკითხი შესასწავლია, ვინაიდან შესაძლოა მას ჰქონდეს სხვა მიზეზებიც, მაგალითად საქმეთა არასწორი მენეჯმენტი.

სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი კვლავ რჩება პრობლემად. ხშირ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება არ პასუხობს მხარეების მიერ წარდგენილ მნიშვნელოვან არგუმენტებს, არ ხდება მტკიცებულებათა სათანადო შეფასება, მოსამართლის სოციალური როლის სათანადო გათვალისწინება, სასჯელის დანიშვნის სათანადო დასაბუთება. ხშირია სასამართლო გადაწყვეტილებაში შაბლონური მიდგომების გამოყენება⁸⁰. ხშირ შემთხვევაში

⁷⁸ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მონოდეზიგნირებული ინფორმაციის თანახმად 2013, 2017 და 2018 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში კანდიდატები არ ჩარიცხულან, ხოლო 2015 წელს ჩარიცხა მხოლოდ 11 მსმენელი.

⁷⁹ აღნიშნულს ადასტურებს მაგ. რუსთავი 2-ს საქმის განხილვა პირველი ინსტანციით სადაც სარჩელი შეტანილი იქნა 2015 წლის 5 აგვისტოს, მოსამართლემ გადაწყვეტილება გამოაცხადა 2 ნოემბერს. საქმე იყო განსაკუთრებით რთული კატეგორიის და მოიცავდა უამრავ მონმეს, შუამდგომლობას, საექსპერტო მტკიცებულებებს და ა.შ.


⁸⁰ (მაგ. გვ პირველში ჩხრეკა-ამოღების განჩინების გამოგანმა მოსამართლემ საგელევიზიო კომენტარში ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნია შაბლონის გამოყენება, მაშინ როდესაც პრეგენზია სწორედ იქითკენ მიემართებოდა, რომ გელევიზიაში ამგვარი ღონისძიების ჩაგარებისას მედიის საქმიანობაში ჩარევის საფრთხეზე უნდა ემსჯელა). მეორეს მხრივ: „გადანწყვეტილებები გადატვირთულია სამართლებრივი ციტატებითა და მსჯელობით, საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკის ან კანონების რეგულირების სფეროს განმარტებით ისეთ საკითხებზე, რომლებიც სადავო არ არის, საქმისთვის არარელევანტურია ან არ საჭიროებს დამატებით განმარტებას. მსგავსი მიდგომა, ერთი მხრივ, უსარგებლოდ ტვირთავს გადაწყვეტილების ტექსტს და ართულებს მის აღქმას, მეორე მხრივ, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეთა ცდილობენ კარგად დასაბუთებულად წარმოაჩინონ გადაწყვეტილება არსებითი საკითხიდან (რაც არის საქმის მთავარი საკითხების ფაქტობრივი და სამართლებრივი ანალიზი) დოკუმენტის მოცულობაზე ყურადღების გადატანით

იხ. https://democracyindex.ge/uploads_script/studies/tmp/phpuQ1I9u.pdf?fbclid=IwAR1ZcLJf2eZMha9X6gVWAmRad9MxBnrVATB0R-d21vmH4z-veFDkhG20Tgc

მოსამართლეები შაბლონურად მიუთითებენ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტებს რომლებიც მოცემული საქმისთვის არარელევანტურია⁸¹.

2021 წლის დასაწყისში დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის თანხმად, რესპოდენტებმა (ადვოკატებმა) სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხთან დაკავშირებულ შეკითხვას შემდეგნაირად უპასუხეს:

როგორ შეაფასებდით სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხს



9. დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა

2012 წლის შემდეგ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში შევიდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, კერძოდ გასაჯაროვდა დისციპლინურ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, მოსამართლის თანხმობის შემთხვევაში - დისციპლინური სხდომები, ერთმანეთისგან გაიყო დისციპლინური გამოძიების, ღვევისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები, დაზუსტდა როგორც მომჩივანის, ასევე მოსამართლის უფლებები, შემოღებული იქნა სპეციალიზებული მოხელის თანამდებობა (დამოუკიდებელი ინსპექტორის), რომელიც იკვლევს დისციპლინურ საქმეს, გადამუშავდა და დაიხვეწა დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი და სხვ.

⁸¹

<https://courtwatch.ge/articles/shablonuridasabuteba/?fbclid=IwAR3zKinR6abAQO1YQJIBBad-9FpT5HniC20FBLpsUD52laiDSdbN Eu1gNsk>; ასევე იხ. pphuQ1I9u.pdf (democracyindex.ge)

ამის მიუხედავად არსებობს როგორც რეგულაციური, ასევე პრაქტიკული პრობლემები, რაც ხელს უშლის ამ მექანიზმის სამართლიან და მიუკერძოებელ საქმიანობას.

რეგულაციური ხასიათის პრობლემებიდან უნდა აღინიშნოს ის, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის კონკურსი არის სრულად დახურული, ასევე ის, რომ დამოუკიდებელ ინსპექტორს ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხოლო პრაქტიკული პრობლემა არის ის, რომ როგორც წესი კონკურსის შედეგად ხდება კლანისათვის ერთგული კადრის შერჩევა. აღნიშნული არის სიგნალი მოსამართლეთა კორპუსის მიმართ რომ კლანისადმი მორჩილება მათთვის იმუნიტეტის წინაპირობაა⁸².

დისციპლინური სამართალწარმოება რომელიც 2012 წლამდე გამოიყენებოდა როგორც მოსამართლეების დაშინების მექანიზმი, დღეს ფაქტიურად წარმოადგენს კორპორაციული თავდაცვის მექანიზმს, ასევე ფავორიტი მოსამართლეების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მექანიზმს, რაზეც სტატისტიკაც (ასევე დისციპლინური პრაქტიკა) მეტყველებს - 2004-2012 წლებში დისციპლინური წესით დაისაჯა 209 მოსამართლე ხოლო 2012-2020 წლებში მხოლოდ 9 მოსამართლე. აქედან 4 მოსამართლეს დაეკისრა კერძო სარეკომენდაციო ბარათი, 4 მოსამართლეს შენიშვნა, და 1 მოსამართლეს საყვედური.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა ფავორიტიზმზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადრეულ ეტაპზე წყვეტს დისციპლინურ საქმეს ფაქტების დაუდგენლობის მოტივით, მაშინ როცა საქმის ჯეროვანი გამოკვლევით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ამ ფაქტების დადგენა იყო შესაძლებელი⁸³, ასევე მოგ შემთხვევაში საქმეების შეწყვეტა ხდება სრულიად დაუსაბუთებლად, საჭირო ქვორუმის არ არსებობის მოტივით (რაც შეიძლება გამოყენებული იქნას კონკრეტული პირების მიმართ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მექანიზმად)⁸⁴.

კლანისათვის ფავორიტი მოსამართლეების მიმართ ხდება მსუბუქი დისციპლინური სანქციების გამოყენება ისეთ გადაცდომებზე, რომლებიც სიმძიმის მიხედვით მკაცრ დისციპლინურ რეაგირებას საჭიროებენ⁸⁵.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოებში სისტემატურად ხდება საქმეთა გაჭიანურება, მოსამართლეები ამ საფუძვლით პრაქტიკულად აღარ ისჯებიან და მათ წინააღმდეგ მიმართული

⁸² 2017 წელს დანიშნული დამოუკიდებელი ინსპექტორი - ქეთევან ცინცაძე იყო მიხეილ ჩინჩალაძის თანაშემწე, ხოლო 2020 წელს დანიშნული დამოუკიდებელი ინსპექტორი - ზურაბ აზნაურაშვილი არის მხეილ ჩინჩალაძის მეჯვარის - გიორგი აზნაურაშვილის ძმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის - თამარ ონიანის მაზლი. <https://www.youtube.com/watch?v=xv1wAlGT8j4>

⁸³ იხ. უფლებები საქართველო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და დამოუკიდებელი ინსპექტორის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში, 2021 გვ. 13, <https://drive.google.com/file/d/1S8mUnkbyhQuVxxBe-lek2X4a-D3lZfz/view>

⁸⁴ იხ. უფლებები საქართველო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და დამოუკიდებელი ინსპექტორის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში, 2021 გვ. 12, <https://drive.google.com/file/d/1S8mUnkbyhQuVxxBe-lek2X4a-D3lZfz/view> საერთო სასამართლოების შესახებ 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით საბჭოს მიერ გადანაცვლების მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობა შემცირდა ორი მესამედიდან ხმათა უმრავლესობამდე, რის გამოც ქვორუმის პრობლემა მომავალში ამ მასშტაბით სავარაუდოდ ნაკლებად განმეორდება.

⁸⁵ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილმა განიხილა საჩივარი საქმეზე, რომელზეც მისი მეუღლე იყო მხარის წარმომადგენელი. აღნიშნული წარმომადგენს სერიოზულ დისციპლინურ გადაცდომას. მიუხედავად ამისა, სადისციპლინო კოლეგიამ მის წინააღმდეგ გამოიყენა ყველაზე მსუბუქი დისციპლინური ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი. <http://dci.court.ge/uploads/gadackvetilebebi/123.pdf>

საქმეები წყდება მოსამართლის დაგვირგობის გამო. ეს სტრატეგია გარკვეულწილად წარმოადგენს კლანის მიერ მოსამართლეთა მომადლიერების მექანიზმს⁸⁶.

10. სამოსამართლო თვითმმართველობა

2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით მოსამართლეებს მიეცათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების თავისუფალი დასახელების და ფარული კენჭისყრით არჩევის უფლება. მიუხედავად ამისა, სამოსამართლო თვითმმართველობამ შეიძინა ფიქტიური ხასიათი. მოსამართლეთა კონფერენცია არ წარმოადგენს ნამდვილ თვითმმართველ ორგანოს. მას მართავს სასამართლო კლანი. მოსამართლეთა კონფერენციის მიმდინარეობისას არ არსებობს განსხვავებული აზრის მქონე ჯგუფებს და კანდიდატებს შორის ჯანსაღი კონკურენცია. კონფერენციაზე გამომსვლელების ვინაობა კლანთან წინასწარ არის შეთანხმებული. მოსამართლეთა მიერ მისაცემ ხმებს, მოსამართლეთა განწყობებს ადგილებზე წინასწარ ითვლიან და აკონტროლებენ სასამართლოს თავმჯდომარეები რომლებიც მოქმედებენ პარტიული კოორდინატორების მსგავსად⁸⁷.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევას წინ არ უძღვის კანდიდატების მიერ რაიმე ხელვის ან პროგრამის წარმოდგენა ან განხილვა. კლანის მიერ დაყენებულ კანდიდატურას ალტერნატივა არ ჰყავს. თუმცა საჯარო გასაუბრებებზე მოსამართლეები ამას ხსნიან იმით რომ მოსამართლეები ერთ აზრზე არიან, ან სასამართლო კორპუსში ყველა ყველას იცნობს და კანდიდატის ხედვების წარმოდგენა საჭირო აღარ არის (რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მოსამართლეები არ ცნობენ სამოგადობრივი ანგარიშვალდებულების საჭიროებას)⁸⁸.

მოსამართლეთა ნაწილს აქვს აღებული მოსამართლეთა კონფერენციაზე საჯაროდ გამოსვლის და კლანის სასარგებლოდ ერთიანობის დემონსტრირების ვალდებულება.

მოსამართლეების მიერ თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის (პასიური და აქტიური) უფლების გამოყენებაზე, ასევე მართლმსაჯულების აღმინისტირების და მოსამართლეების თავისუფლების საკითხებზე პოზიციონირებაზე უარი კლანისთვის უკომპრომისო საკითხია. სწორედ ამითაა

⁸⁶ იხ. უფლებები საქართველო, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგის ანგარიში, 2021 <https://www.rights.ge/ka/accountnew/14>

⁸⁷ იხ. აგრეთვე ინტერვიუ კახი კახიშვილთან: „კახიშვილი აღნიშნავს, რომ კონფერენციაზე კოტე კუბლაშვილი მოსამართლეებს ხვდებოდა და აშინებდა მათ, რომ თუ მისთვის სასურველ კანდიდატებს არ დაუჭერდნენ მხარს, მათ იმ უკანონო გადაწყვეტილებებზე მოუწევდათ პასუხისგება, რაც წლების განმავლობაში აქვთ გამოგანილი“. <https://for.ge/view/23264/mosamarTleTa-konferenciaze-ocnebas-nacionalebma-penalti-daurtyes.html> იხ. ნინო წერეთელი და სალომე კვიციანი - მოსამართლეთა თვითმმართველობა საქართველოში - პრობლემები და პერსპექტივები https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_1588866567.pdf მსგავსი პრობლემა გვხვდება აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. იხ. David Kosař, Perils of Judicial Self-Government in Transitional Societies (Cambridge University Press, 2016), 401; Maria Popova, Politicized Justice in Emerging Democracies: A Study of Courts in Russia and Ukraine (Cambridge University Press, 2012), 135 (რუსეთსა და უკრაინაში ჩატარებული კვლევის შედეგად, პოპოვა მიუთითებს, რომ სასამართლოების თავმჯდომარეები საბჭოების წევრობის კანდიდატებს არჩევენ და მხარს უჭერენ. მოსამართლეებს, რომლებიც ასეთი მხარდაჭერით არ სარგებლობენ, გამარჯვების მინიმალური შანსიც არ აქვთ და შესაბამისად, ხშირად, პრაქტიკაში, თავმჯდომარის კანდიდატს შეიძლება კონკურენტიც არ ჰყავდეს).

⁸⁸ იხ. მაგ. გასაუბრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან პაატა სილაგაძესთან, მაია ვაჩაძესთან - კონსტიტუციის 42-ე მუხლი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებების ანალიზი <https://drive.google.com/file/d/1sc2lPbMqVe4r-aGfpFd8UO-uobk1R8Vn/view?usp=sharing>

განპირობებული მოსამართლეთა კონფერენციებზე განსხვავებული აზრის ან/და ასარჩევ კანდიდატებს შორის კონკურენციის არარსებობა.

11. სასამართლოს თავმჯდომარეები

სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციების თანახმად სასამართლოს თავმჯდომარეები არ უნდა ჩაერიონ მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში და არ უნდა ახდენდნენ ზეგავლენას მოსამართლეებზე⁸⁹. მათ შეიძლება ჰქონდეთ ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ფუნქცია

პოსტსაბჭოთა სივრცეში სასამართლოს თავმჯდომარის ინსტიტუტი ხშირად გამოიყენება როგორც მოსამართლეების და მართლმსაჯულების პოლიტიკური კონტროლის მექანიზმი⁹⁰. ამ კუთხით საქართველოშიც არ არის განსხვავებული ვითარება⁹¹.

საქართველოში სასამართლოს თავმჯდომარეები საქმეებს ტრადიციულად საქმეებს მოსმენების მეშვეობით აკონტროლებდნენ⁹². ასევე არსებობდა გადაწყვეტილებების წინასწარ შეთანხმების სხვა მექანიზმებიც⁹³.

სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტში ინიცირებული იყო მოსამართლეების მიერ თავმჯდომარეთა არჩევის მექანიზმი, თუმცა კანონის საბოლოო ვერსიაში პარლამენტმა ეს ნოვაცია უარყო. სასამართლოს თავმჯდომარეებს კვლავ ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, თუმცა ეს უკანასკნელი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან⁹⁴.

⁸⁹ იხ. <https://www.osce.org/files/f/documents/a/3/73487.pdf> პარ. 11

⁹⁰ court presidents, who could be recalled by the ruling party/individual anytime at a whim, become the conduit of the ruling party/individual influence over individual judges. The main role of the court presidents is then to “transmit” orders from the ruling party/individual to individual judges in sensitive cases. David Kosař, Politics of Judicial Independence and Judicial Accountability in Czechia: Bargaining in the Shadow of the Law between Court Presidents and the Ministry of Justice, 13 EUROPEAN CONST. LAW R. 96 (2017)

⁹¹ იხ. თეა წულუკიანი: „თავმჯდომარეები დღეს აკონტროლებენ მოსამართლეთა გადაწყვეტილებებს“ <http://liberali.ge/news/view/18446/tsulukiani-reformaze--iustitsiis-sabcho-mosamartleta-distiplinur-devnaze-uars-ambobs>

⁹² „მართლმსაჯულება საქართველოში“, საია, 2010; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2kz9faZ>

⁹³ აგრეთვე, მამუკა ახვლედიანი: „2012 წელს, როცა სასამართლოში მივედი, სია დამახვედრეს და მითხრეს, ამ დღეებში კონკრეტულად ეს მოსამართლეები უნდა შემოვიდნენო. ვიკითხე, _დღეების მიხედვით რატომ უნდა დავყოთ? როცა უნდათ, მაშინ შემოვიდნენ-მეთქი. ამას მეორე სია მოაყოლეს, სადაც ჩამონერილი იყო, მომდევნო კვირაში ამ მოსამართლეებს რა განაჩენები უნდა გამოეცხადებინათ shorturl.at/ikoDU ის, რომ პოლიტიკურ საქმეებზე მოსამართლეები თავმჯდომარესთან კოორდინაციაში მოქმედებენ ადასტურებს ასევე საიას კვლევა: „დაკარგული თვალის მიღმა – 20–21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება: „

„სავარაუდოდ, მოსამართლეები ადმინისტრაციულ პატიმრობას ინტენსიურად იყენებდნენ დღის პირველ ნახევარში, დაახლოებით 16:00-17:00 საათამდე.372 ამავე პერიოდში მოსამართლეები ადვოკატებს უარს ეუბნებოდნენ გონივრული ვადით საქმის გადადების შუამდგომლობებზე“

„21 ივნისს დაახლოებით 16:00-17:00 საათიდან მოსამართლეებმა ერთდროულად შეცვალეს დღის პირველ ნახევარში დამკვიდრებული პრაქტიკა და, პატიმრობის ნაცვლად, დაკავებულ პირებს ძირითადად ჯარიმის გადახდას აკისრებდნენ.379 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ჯარიმა შეეფარდა 70 პირს“

<https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%90.pdf>

⁹⁴ იხ. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 23-ე და 32-ე მუხლები. იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა, სასამართლო სისტემის მდგომარეობა 2013-2020 წლებში.

სასამართლოების თავმჯდომარეებს კვლავ ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კლანის მიმართ ერთგულების ნიშნით. 2007 წლიდან მოყოლებული მსხვილი სასამართლოების (კოლეგიების) თავმჯდომარეების როტაცია ერთი და იგივე ვიწრო ჯგუფში (ძირითადად ყოფილი პროკურორები) ხორციელდება⁹⁵.

სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნა ხორციელდება კონკურენციის გარეშე⁹⁶. თანამდებობაზე ინიშნება კლანის მიერ წინასწარ შერჩეული კანდიდატი.

პრობლემურია ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ქალების ნაკლები წარმომადგენლობა⁹⁷.

12. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები

2013 წლის სასამართლო რეფორმის პირველი ტალღის ცვლილებები მიზნად ისახავდა სასამართლო სისტემის „დეპოლიტიზაციას“, შესაბამისად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პოლიტიკოსი წევრები ჩანაცვლდნენ პროფესიული და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებით. სინამდვილეში რეალური დეპოლიტიზაცია არ მომხდარა, ვინაიდან როგორც პრაქტიკამ აჩვენა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების უმრავლესობა იქცევა პოლიტიკური კონიუქტურის შესაბამისად.

თუ 2015 წლის ივნის-ივლისამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების უმრავლესობა დაპირისპირებაში იყო სასამართლოში გაბატონებულ კლანთან, ამ პერიოდის შემდეგ მათ შორის დაპირისპირება გაქრა⁹⁸. უფრო მეტიც იმავე წელს მათ მხარი დაუჭირეს კლანის ლიდერების - ლევან მურუსიძის და მიხეილ ჩინჩალაძის მოსამართლეებად გადანიშნვას⁹⁹.

2017 წლის არჩევნების შედეგად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების უმრავლესობა შერჩეულია კლანის მიმართ ერთგულების ნიშნით¹⁰⁰. ერთპარტიულად არჩეული წევრები ძირითადად პარლამენტისგან სარგებლობენ კლანის ნება-სურვილის გამგარების მანდატით. ისინი ყოველთვის ეთანხმებიან კლანის მიერ მიღებულ არსებით გადაწყვეტილებებს, და

⁹⁵ მენეჯერულ თანამდებობებზე კლანის წევრთა გადანიშნვა - საიას კვლევა https://qyla.ge/ge/post/vitsro-tsre-sasamartloshi-menejerul-tanamdebobebze-klanis-tsevrta-ganatsileba?fbclid=IwAR2xRJkY_wE4DxwPQj03re6PUAOssDmrsx01YLOpvsWlTmSosuhZrNdAo2c#sthash.7TK7T0Z1.dpbo

⁹⁶ იხ. მაგ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ ვასილ მშენიერაძის დანიშვნის თაობაზე <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/248-2020.pdf> იხ. აგრეთვე მიხეილ ჩინჩალაძის დანიშვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ <https://ajaratv.ge/article/98804>

⁹⁷ <https://netgazeti.ge/news/400446/>

⁹⁸ აღნიშნული პერიოდი ასევე ემთხვევა იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის საჯარო პოზიციების ცვლილებას მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის საკითხზე. იხ. <http://iverioni.com.ge/13922-thea-tsulukianime-cnobili-var-rogorc-mkacri-khelis-momkhre-rodasac-saqme-ekheba-sasamartlo-s-reformas.html>

⁹⁹ [საბჭოს 3 წევრი: მურუსიძის არდანიშვნა მსუსხავ ვეფექტს იქონიებდა სამოსამართლო კორპუსზე - ლიბერალი \(liberali.ge\)](https://liberali.ge)

¹⁰⁰ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 47.6 მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უნდა იყოს სამართლის რომელიმე დარგის აღიარებული სპეციალისტი. აღნიშნული კრიტერიუმი სუბიექტურად გამოიყენება. გაუგებარია სამართლის რომელი დარგის სპეციალისტს წარმოადგენდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი არამოსამართლე წევრი რომელიც პარლამენტმა აირჩია. მეორეს მხრივ საქართველოს პარლამენტმა არ აირჩია სამართლის ცნობილი პროფესორები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ კონკურსში მაგ. ირაკლი დვალიძე (სისხლის სამართალი), შალვა ქურდაძე (სამოქალაქო სამართლის პროცესი), პაატა ტურავა (ადმინისტრაციული სამართალი).

სანაცვლოდ სარგებლობენ კლანის კეთილგანწყობით. მაგ. ერთ-ერთი არამოსამართლე წევრის შვილი დაინიშნა მოსამართლედ მამის საბჭოს წევრობის პირობებში¹⁰¹

კლანის პოლიტიკურ მხარდაჭერას ადასტურებს ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტმა საერთოდ არ განიხილა დამოუკიდებელი და გამჭვირვალე კოალიციის მოთხოვნა მაზა ხარებავას გამოწვევაზე, რომელიც კანონის დარღვევით იქნა დაინიშნული. მაზა ხარებავა კლანის ერთ ერთი წევრის მეჯვარეა¹⁰².

2017 საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებებით საქართველოს პარლამენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს ირჩევს ხმათა 3/5 ით. უკვე 1 წელზე მეტია რაც უფლებამოსილების ვადა გაუვიდა 5 არამოსამართლე წევრს. პარლამენტი უარს ამბობს მათი შერჩევის პროცედურების დაწყებაზე.

2020 წელს საქართველოს პრეზიდენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ვაკანსიაზე კლანისადმი ლოიალურად განწყობილი კადრი თამარ ღვამირავა წარადგინა, რითაც კლანს მიეცა შესაძლებლობა მიიღოს მისთვის სასურველი საკადრო გადაწყვეტილებები¹⁰³.

13. მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება

სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება ობიექტური და წინასწარდადგენილი კრიტერიუმებით უნდა განხორციელდეს. საქმეთა განაწილების სისტემაში სუბიექტური ჩარევები უნდა გამოირიცხოს¹⁰⁴.

საჭირო მოსამართლეზე საქმის განაწილება ან არასასურველი მოსამართლის საქმიდან აცილება ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს გამოიყენებოდა საქმეებზე ზეგავლენის მისაღებად.

2017 წელს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიერ ჩატარებული გამოკითხვისას როგორც მოსამართლეებმა ასევე ყოფილმა მოსამართლეებმა მიუთითეს იმაზე რომ გასულ წლებში სისტემაგურად ხდებოდა საქმეთა განაწილების სისტემით მანიპულირება საქმეზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით¹⁰⁵.

საქმეთა განაწილების სისტემით მანიპულირებაზე ქართული ოცნებაც აკეთებდა აქცენტს მისი მმართველობის დასაწყისში. თუმცა 2015 წლის შემდეგ, როდესაც სასამართლო კლანთან ურთიერთობა საბოლოოდ დალაგდა, ქართულ ოცნებას საქმეთა განაწილებით მანიპულირებაზე პრეტენცია აღარ გამოუხატავს¹⁰⁶.

¹⁰¹ [“მამამ შვილი მოაწყო” – ნაზი ჯანეზაშვილის და ანა დოლოძის პერფორმანსი იუსტიციის საბჭოში – NEWS.GE](https://www.transparency.ge/ge/post/parlamentis-tavmjdomarisadmi-koaliciis-mimartva-zaza-xarebavas-iusticiis-umaglesi-sabchos)

¹⁰²

<https://www.transparency.ge/ge/post/parlamentis-tavmjdomarisadmi-koaliciis-mimartva-zaza-xarebavas-iusticiis-umaglesi-sabchos>

¹⁰³ რაც გამოვლინდა კიდევ 2021 წელს უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატთა წარდგენებში საერთაშორისო პარტნიორების მონოდეტების საწინააღმდეგოდ

¹⁰⁴ იხ. მაგ. სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კვივის რეკომენდაციები, 2010, პარ. 12

¹⁰⁵ <https://docs.google.com/presentation/d/1VaMBrNK-4fkKy9-XapcEIVVX42E0ges1/edit#slide=id.p19>

¹⁰⁶ იხ. თეა წულუკიანის განცხადება: „როგორ ხდება რომ ამგვარ ე.წ. პოლიტიზირებულ საქმეებზე ის მხოლოდ 4 მოსამართლეს: გიორგი გოგინაშვილს, გელა ბადრიამშვილს, მერაბ ჯორბენაძეს, გიორგი არევაძეს და სანდახან გამოიყვანს ხოლმე როცა დაჭირდება ნატო ხუჯაძეს“. იხ. „მოსამართლეები ხელისუფლების სამსახურში, <https://www.youtube.com/watch?v=iqEC8O-wjK8> მე-19 წუთზე.

საქმეთა განაწილების სისტემით მანიპულირებას განსაკუთრებით კარგად ახდენდა პროკურატურა, რომელიც (ვინაიდან არის სისხლის სამართლის საქმეთა ერთადერთი „პროვაიდერი“) საქმეებს ალაგებდა და შეჰქონდა იმ თანმიმდევრობის მიხედვით, რომ კონკრეტული საქმე მოხვედრილიყო კონკრეტულ მოსამართლესთან¹⁰⁷.

უმენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2008-2015 წლებში საქმეთა განაწილების წესი სისტემაგურად ირღვეოდა მოსამართლე ნათია წკეპლაძესთან მიმართებაში, კერძოდ მას არ აძლევდნენ შესაძლებლობას მონაწილეობა მიეღო იმ საქმეებში სადაც თავად არ იყო მომხსენებელი.¹⁰⁸ აღნიშნულ პერიოდში პალატის თავმჯდომარე იყო მიხეილ ჩინჩალაძე რაც იმას მეტყველებს რომ სწორედ მიხეილ ჩინჩალაძე უწევდა მანიპულირებას საქმეთა განაწილების სისტემას.

2017 წლიდან საქმეთა განაწილება დაეფუძნა შემთხვევითი განაწილების პრინციპს. ამ პრინციპის ამოქმედების მიუხედავად პრობლემად რჩება კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია, რაც არის საქმეთა შემთხვევითი განაწილებიდან გვერდის ავლის მექანიზმი¹⁰⁹.

კოლეგიური განხილვის დროს (უმენაეს და სააპელაციო სასამართლოებში) საქმეთა განაწილების ეს პროგრამა ვრცელდება მხოლოდ მომხსენებელ მოსამართლეზე და არ ვრცელდება კოლეგიის სხვა წევრებზე. შესაბამისად, კოლეგიის სხვა წევრების შერჩევას რაიმე მკაფიო წესი არ არეგულირებს¹¹⁰.

¹⁰⁷ კვლევის მიმდინარეობის დროს ეს ინფორმაცია მოგვანოდა ყოფილმა საჯარო მოხელემ, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა

¹⁰⁸

<https://ipress.ge/new/konstitutsiis-42-e-mukhli-chinchaladzis-getsadzis-da-miqautadzis-mier-saqmetha-ganatsilebis-sistemith-s-hesadzlo-manipulirebaze-ganmartebes-ithkhovs/>

¹⁰⁹ ფაქტობრივად, თავმჯდომარეს აქვს საქმის განაწილებაზე გემოქმედების ბერკეტი, რომლის მეშვეობითაც არა მხოლოდ კონკრეტული საქმის მიგანა შეუძლია კონკრეტულ მოსამართლემდე, არამედ, მოსამართლეთა პანელის ერთპიროვნული ფორმირებაც კი საქმის კოლეგიური განხილვის შემთხვევაში, ანუ „მოსამართლის მიყვანა საქმემდე“. ვინრო სპეციალიზაციის მექანიზმს კარგად იყენებს ასევე პროკურატურაც. მაგალითად თბილისის საქალაქო სასამართლოში სსკ. 194-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (ფულის გათეთრება) იხილავს სპეციალიზირებული კოლეგია. პროკურატურამ სავარაუდოდ განზრახ ნაუყენა ბრალი ნიკა გვარამიას არასწორი მუხლით (სსკ. 194-ე მუხლით, რაც დადასტურდა კიდევ გამოტანილი განაჩენით), რათა საქმე მოხვედრილიყო ამ კოლეგიაში.

¹¹⁰ საქმეთა განაწილების ხარვეზების შესახებ დეტალურად იხილეთ სოციალური სამართლიანობის ცენტრის კვლევა: საქმეთა განაწილების სისტემა სასამართლოში -

<https://socialjustice.org.ge/ka/products/sakmeta-elektronuli-ganatsilebis-sistema-sasamartloshi> კითხვის ნიშნებს იწვევს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის თავმჯდომარის ვასილ როინიშვილის მიერ 71 სამოქალაქო საქმეთა განხილვა სხვა პალატების მოსამართლეებთან (პაატა სილაგაძესა და ლევან მურუსიძესთან ერთად ერთ კოლეგიაში), 2010-2015 წლებში, მაშინ როცა აღნიშნულ წლებში სამოქალაქო პალატაში იყო მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა (არანაკლები ვიდრე სხვა პალატებში). იხ. აგრეთვე: ინტერვიუ ნათია ქუთათელაძესთან: იხ. ინტერვიუ ნათია ქუთათელაძესთან: " მაგალითად, ჩემს შემთხვევაში, საარჩევნო დავაზე განსხვავებული აზრი დავწერე. რამდენიმე დღეში, საარჩევნო დავის განხილვისას, ნათლად დაფაფიქსირე ჩემი პოზიცია მთელ რიგ სამართლებრივ საკითხებზე; ასევე, მკაცრად გავაკრიტიკე არაუფლებამოსილი პირების განხილვაში ჩარევა. მეორე დღეს რომ მორიგი საარჩევნო დავა შემოვიდა სასამართლოში, სამი მოსამართლის შემადგენლობით უნდა განგვეხილა. საერთოდ დამიმაღეს, რომ ეს საქმე იყო შემოსული. - არ გითხრეს, რომ საქმე იხილებოდა? - დიას. მაგალითად, სამი მოსამართლე - ერთი კოლეგიური შემადგენლობა თვეების განმავლობაში ვიხილავთ საქმეებს. ცხადია, შეიძლება, ვილაც მივლინებაში ან ბიულეტენზე იყოს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გადანაცვლება ხდება, მაგრამ მე არც მივლინებაში ვყოფილვარ, არც საავადმყოფო ფურცელზე.

https://courtwatch.ge/articles/dbdcd83a-5daf-4737-a7be-0827c6e5da19/?fbclid=IwAR2UISmbEmSCsQ5XmRc2I6WhD6aYs1q1K Uxlbw2YzKC99kUEfJXcn26_12bg

პრობლემურია ასევე სასამართლოს თავმჯდომარეების დისკრეცია რომელიც გულისხმობს მოსამართლეთა მორიგეობის სიების შედგენას სპეციალური კატეგორიის საქმეებზე¹¹¹.

გადასამოწმებელია ინფორმაცია, რომლის თანახმად საქმეთა შემთხვევითი განაწილების გვერდის ავლა ასევე შესაძლებელია ელექტრონული პროგრამიდან არასასურველი მოსამართლის გვარის დროებითი გამოთიშვით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწავლას.

14. მოსამართლეთა სოციალური უზრუნველყოფა

სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად პენსიაში გასულ მოსამართლეს უნდა მიეცეს ის ანაზღაურება, რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება მის ბოლო ხელფასს¹¹²

მოსამართლე საპენსიო ასაკამდე თანამდებობიდან წასვლის შემთხვევაში რაიმე კომპენსაციას არ იღებს, რაც აიძულებს მოსამართლეებს, მათ შორის დისკრედიტირებულ კადრებს, საპენსიო ასაკს მიღწევამდე იბრძოლონ თანამდებობის შესანარჩუნებლად.

საქართველოში მოსამართლის საპენსიო ასაკი 65 წელია. სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეებს პენსია სხვადასხვა ოდენობით მიეცემათ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის ფიქსირებულად 1200 ლარია განსაზღვრული, ხოლო საერთო სასამართლოების სხვა მოსამართლეებს დაკავებული თანამდებობისა და მოსამართლედ მუშაობის სტაჟის გათვალისწინებით მიეცემათ საპენსიო თანხა, რომელიც 560 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნული თანხა ვერ უზრუნველყოფს მოსამართლეების ფინანსურ სტაბილურობას თანამდებობის დაკავების ვადის გასვლის შემდეგ და მოსამართლეთა სათანადო სოციალურ გარანტიად ვერ ჩაითვლება¹¹³.

15. ნეპოტიზმი სასამართლოში

სასამართლო სისტემაში არსებული კლანური მმართველობა წარმოშობს ნოყიერ ნიადაგს ნეპოტიზმისთვის. ნეპოტიზმი განსაკუთრებით საგრძნობია როგორც სამოსამართლო კონკურსებში მონაწილეობისას ასევე სასამართლო მოხელეთა დანიშნისას¹¹⁴.

¹¹¹ იხ GDI ს კვლევა: მოსამართლეთა წინასაარჩევნო მიგრაცია: „საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი სასამართლოს თავმჯდომარეებს, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული კატეგორიის საქმეებზე, არასამუშაო და სამუშაო საათებში, მოსამართლეთა მორიგეობის დადგენის უფლებამოსილებას ანიჭებს. კერძოდ, იმ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა 72 საათს არ აღემატება. ისინი მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის მიხედვით ნაწილდება, და ამ დროს მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების რაოდენობა მხედველობაში არ მიიღება. 28 ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მორიგეობის სიის შედგენის პროცედურულ საკითხებს, ვალებს, მასში ცვლილებების განხორციელების წესსა და მოსამართლეთა თანხმობის საკითხს დღემდე არ ითვალისწინებს არცერთი ნორმატიული აქტი. შესაბამისად, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია, სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით დააკომპლექტოს მორიგეობის სია სასურველი მოსამართლეებით.

<https://gdi.ge/ge/news/kvlevis-prezentacia.page>

¹¹² იხ. ევროპის მოსამართლეთა ქარტია, პარ. 6.4.

¹¹³ იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა, კორუფციის რისკები სასამართლოში, 2019, გვ. 59

¹¹⁴ ნეპოტიზმის კონკრეტული შემთხვევები შესახებ იხ. მაგ. <https://bit.ly/3HfVINs>.

16. მოსამართლეთა ასოციაცია

სასამართლოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები ახალისებს მოსამართლეთა ნებაყოფლობითი ასოციაციების ფორმირებას, რომლებიც იცავენ მოსამართლეთა უფლებებს და მონაწილეობენ სასამართლო სისტემის ადმინისტრირებაში¹¹⁵.

2012 წლამდე მოსამართლეთა ასოციაციის ფუნქცია ძირითადად სამართლის ჟურნალის რედაქტირებითა და სოციალური აქტივობებით იყო შემოფარგლული. 2012 წლამდე მოსამართლეთა ასოციაციას თითქმის არასოდეს გაუკეთებია რაიმე საჯარო განცხადება მოსამართლეთა ან სასამართლოს დამოუკიდებლობის დასაცავად. 2013 წელს შეიქმნა მოსამართლეთა ალტერნატიული ასოციაცია-მოსამართლეთა ერთობა, რომელმაც განახორციელა არაერთი პროექტი, კვლევა, გააკეთა საჯარო განცხადებები და დააფიქსირა ალტერნატიული ამრიგ სასამართლოს საქმიანობის სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის გამოთქვა კრიტიკული აზრები იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, იმის გამო, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო კლანმა, 2016-2019 წლებში მოსამართლეთა ასოციაციაში წევრების რაოდენობა სულ უფრო და უფრო შემცირდა და საბოლოოდ ასოციაციაში აღარც ერთი მოქმედი მოსამართლე აღარ დარჩა. მოსამართლეების ასოციაციიდან დემარშით წასვლა პირდაპირ უკავშირდებოდა მოსამართლეთა იმ საჯარო განცხადებას, რომლითაც ასოციაციამ უარყოფითად შეაფასა 2017 წლის კონკურსი, რომლითაც მიხეილ ჩინჩალაძე დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში უვადოდ¹¹⁶.

დღეს მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე ლევან მურუსიძეა და ამ ასოციაციის წევრია თითქმის ყველა მოსამართლე რაც ასახავს სასამართლო კორუფსიში არსებულ მდგომარეობას.

2019 წლის 2 აგვისტოს სასამართლოში შეიქმნა ქალ მოსამართლეთა ასოციაცია¹¹⁷ რომლის საჯარო აქტივობებიც საკმაოდ მწირია.¹¹⁸

17. კორუფცია სასამართლოში

2017 წელს ორგანიზაცია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიერ 2017 წელს გამოკითხული ყოფილი მოსამართლეების ნახევარმა მიანიშნა სასამართლოში არსებულ კორუფციაზე¹¹⁹. არსებობს არაოფიციალური ცნობები, სასამართლოში არსებული კორუფციის შესახებ. კერძოდ ის, რომ მსხვილ (მილიონიან) დავებში საქმეზე შემოქმედება შესაძლებელია ფულის გადახდის მეშვეობით, ამასთან შესაძლოა ქრთამის სახით გადახდილი ფული მოგჯერ უშუალოდ მოსამართლემდე არც მივიდეს, თუმცა მოსამართლეს ეუბნებიან რომ ეს საქმე ასე უნდა გადაწყდეს¹²⁰. ვინაიდან სასამართლოში

¹¹⁵ იხ. მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპული ქარტია, პარ. 1.7-1.8.

¹¹⁶ <https://netgazeti.ge/news/198275/>

¹¹⁷ <https://tcc.court.ge/ka/News/--saqarTvelos-qal-mosamarTleTa-asociacia--dafuznda>

¹¹⁸ <https://www.facebook.com/GeorgianWomenJudgesAssociation/>

¹¹⁹ <https://docs.google.com/presentation/d/1VaMBrNK-4fkKy9-XapcFIVVX42E0ges1/edit#slide=id.p13>

¹²⁰ საერთაშორისო გამჭვირვალობა - კორუფციის რისკები სასამართლოში, 2018: „იმ ხალხს, ვისაც ჩვენ მოვიხსენიებთ გავლენიანი ჯგუფის წევრებად, თავად მოსამართლეები „ბოსებს“ უწოდებენ. „ბოსები“ ჩართული არიან კორუფციულ გარიგებებში და სახელმწიფო დაკვეთების შესრულებაში, ხოლო ის მოსამართლეები, რომლებიც მათი გავლენის ქვეშ არიან, ასრულებენ დავალებას. გავლენის ქვეშ მოქცევაში იგულისხმება ის, რომ მოსამართლე ვალშია „ბოსებთან“ რადგან ის თანამდებობაზე მათ დანიშნეს და ის ფაქტი, რომ იღებს ხელფასს, არის საკმარისი იმისთვის, რომ დამატებითი ანაზღაურების გარეშე შეასრულოს მათი მითითება. “ „როგორც წესი, დღეს უკვე ფული თავად საქმის განმხილველ მოსამართლემდე არ მიდის. საქმეები ლაგდება „ბოსებთან“. ანუ, მაგალითად, გავლენიანი ჯგუფის წევრი მოსამართლე

მოქმედ კლანს მჭიდრო არაფორმალური ურთიერთობა აქვს პროკურატურასთან და სამართალდამცავ ორგანოებთან, რთული წარმოსადგენია, რომ პროკურატურა დაინგერესდეს სასამართლოში არსებული კორუფციული ფაქტების რეალური გამოძიებით¹²¹.

აღსანიშნავია რომ 2015 წელს სასამართლოში კორუფციის საფთხის შესახებ განცხადება თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჩინჩალაძემ გააკეთა („გვარებს ვერ დავასახელებ, მაგრამ არის გარემოებები და ნიშნები, რომელიც მიუთითებს, რომ სასამართლოში კორუფციის დონე ძალიან მაღალია. ეს ხდება რეგიონებშიც და თბილისშიც,“). თუმცა ამ განცხადებას შემდეგი კონკრეტული ან რაიმე სახის ოფიციალური გამოძიება არ მოჰყოლია¹²².

2015 წელს სასამართლო სისტემიდან სამოსამართლო ტესტების გაჟონვის საქმეზე გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რაც პარადოქსულია, ვინაიდან სავარაუდოდ შემთხვევიდან უკვე 7 წელი არის გასული.

18. იუსტიციის უმაღლესი სკოლა

მაშინ როცა იუსტიციის უმაღლესი სკოლა კვალიფიციური და დამოუკიდებელი მოსამართლეების სამკვლელს უნდა წარმოადგენდეს, რეალობაში ის უზრუნველყოფს კლანის სრულ კონტროლს და მონოპოლიას სასამართლოში შემავალ კადრებზე. სკოლაში ძირითადად სასამართლოს მოხელეებს იღებენ, ანუ იმ კადრს ვინც უკვე წლების მანძილზე დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა და კონტროლს ექვემდებარება¹²³.

წლების განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი სკოლა არ იღებდა ახალ სტუდენტებს ან იღებდა მცირე ნაკადს, სავარაუდოდ რისი ერთ ერთი მიზანიც, იყო სასამართლოში საკადრო კრიზისის შექმნა, რათა ამის ფონზე უკვე არსებული კადრები გადანიშნულიყვნენ დაჩქარებული წესით¹²⁴.

იღებს ფულს და შემდეგ საქმეებს ანაწილებს იმ მოსამართლეებთან, რომლებიც მათი გავლენის ქვეშ არიან. თუ საქმე დაეწერა იმ მოსამართლეს, რომელიც მათი გავლენის ქვეშ არ არის, ასეთების რიცხვი კი ძალიან მცირეა, ისინი უზრუნველყოფენ, რომ საქმე გადაეწეროს მართვად მოსამართლეს.

¹²¹ იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა, კორუფციის რისკები სასამართლოში 2018 - გასაუბრება მოქმედ ადვოკატთან: „ბოსებს“ კავშირები აქვთ პროკურატურასთან, სუს-თან, პარლამენტთან, ისინი მარტო არ მოქმედებენ და აქვთ გარანტია, რომ მათ კორუფციულ საქმეებს არ გამოიძიებენ. მმართველ გუნდში ყველას არ მოსწონს სასამართლოში შექმნილი სიტუაცია.”

¹²²

<https://www.interpressnews.ge/ka/article/333084-uzenaesi-sasamartlos-tavmjdomaris-moadgile-sasamartloshi-korupciis-saprt-xeze-miutitebs/>; <https://tabula.ge/ge/news/575795-gvenetadzis-moadgile-sasamartloshi-koruptsiis>

¹²³ 2012 წლიდან დღემდე სასამართლო სისტემაში მოსამართლედ დაინიშნა იუსტიციის სკოლა გავლილი 120 მსმენელი, მათ შორის 104 არის სასამართლო სისტემის ყოფილი მოხელე (თანაშემწე, სხდომის მდივანი, კანცელარიის თანამშრომელი, ა.შ.).

¹²⁴ იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიში: კორუფციის რისკები სასამართლოში 2018 – „არსებობს ასევე საფუძველი ვივარაუდოთ, რომ საბჭომ გამიზნულად შეუნყო ხელი სასამართლოების გადატვირთვას, როდესაც 2013-2016 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მინიმალური ოდენობა ჩარიცხა და ამით პოტენციური მოსამართლეობის კანდიდატების რაოდენობა შეამცირა. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო როგორც მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსებისას კონკურენციის შემცირება (მოსამართლეთა დიდ ნაწილს უფლებამოსილების ვადა 2015-2017 წლებში ეწურებოდათ)“, „2013-2016 წლების სასწავლო პერიოდებისათვის იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სულ 43 მსმენელი ჩაირიცხა.“

19. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონის ის ნორმები, რომლებიც გამორიცხავენ ღია სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების სრული ტექსტის გაცემას, საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დღემდე აღუსრულებელია. სასამართლო არ გასცემს გადაწყვეტილებების არა მხოლოდ სრულ ტექსტს, არამედ დაშტრიხულ ვერსიებსაც კი.

2022 წლის 8 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის სარჩელი რომლითაც მოთხოვნილი იქნა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის ასლი. გადაწყვეტილების ასლის გაუცემლობის მოტივად მოსამართლემ პერსონალური მონაცემების დაცვის საჭიროება მიუთითა.

ხშირად არ სრულდება საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-13.3¹ მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად ქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე.

20. სასამართლო რეფორმის გაღების განხორციელებისას დაშვებული შეცდომები

2012 წელს ხელისუფლებაში მოსული ქართული ოცნების მთავარი საარჩევნო დაპირება იყო სასამართლოს გათავისუფლება პოლიტიკური გეგმისგან და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შექმნა¹²⁵.

2013-19 წლებში ხელისუფლებაში მყოფმა ქართულმა ოცნებამ მართლმსაჯულების რეფორმის 4 ტალღა განახორციელა. აღნიშნულმა რეფორმამ სასამართლოსა და პოლიტიკურ ხელისუფლებას შორის ვერტიკალური დამოკიდებულება შეიცვალა ორ ხელისუფლებას შორის ჰორიზონტალური დამოკიდებულებით მაგრამ ფარული გარიგებით. სასამართლო სისტემამ შეიძინა საკადრო და ფუნქციონალური ავტონომია ოღონდ სანაცვლოდ აიღო ვალდებულება რომ უზრუნველყოს ქართული ოცნებისთვის სასურველი შედეგი კონკრეტულ საქმეებზე. სასამართლო გახდა იმ დროით დამოუკიდებელი რა დროითაც ეს ესაჭიროება პოლიტიკურ ხელისუფლებას.

საინტერესოა იმ შეცდომების გაანალიზება, რომლებიც იქნა დაშვებული რეფორმის სხვადასხვა ეტაპზე.

¹²⁵ იხ. ქართული ოცნების 2012 წლის საარჩევნო პროგრამა: „სასამართლო მხოლოდ ფორმალურად არის დამოუკიდებელი, რეალურად კი მის საქმიანობას მთლიანად აკონტროლებს პოლიტიკური ხელისუფლება და უპრინციპო მოსამართლეთა ხელში სასამართლო ხშირად გვევლინება მისი უსამართლო სურვილების შემსრულებლად. ამიტომ სუფევს სასამართლო ხელისუფლებისადმი საფუძვლიანი უნდობლობა“, „ამ მიზნის, ანუ პოლიტიკური ხელისუფლების ზემოქმედებისაგან სასამართლოს გათავისუფლების, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულებისა და ქმედითი საკონსტიტუციო კონტროლის მიღწევას ემსახურება სასამართლო რეფორმის ჩვენი კონცეფცია, რომლის მთავარი კომპონენტები ქვემოთაა წარმოდგენილი“;

სასამართლო რეფორმების დროს დაშვებული ერთ ერთი უმთავრესი შეცდომა იყო სასამართლო რეფორმის განხორციელება სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების, სიღრმისეული შესწავლის და შეფასების გარეშე.

აღიარებულია, რომ პოსტსაბჭოთა მენგალობის მქონე და დამოუკიდებლობის კულტურის არმქონე სასამართლო სისტემებში მოსამართლეთა თვითმმართველობის დანერგვამ, ხელი შეუწყო მოსამართლეთა გაელენიანი ჯგუფების ძალაუფლების გაძლიერებას, მოსამართლეთა ინდივიდუალიზმის შემცირებას, კორპორატივიზმსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსტრუმენტალიზაციას. აღნიშნულმა წარმოშვა მათი მათი სტრუქტურები, სადაც მოსამართლეები თვითმმართველობას იყენებენ პერსონალური სარგებლის მიზნით საკუთარი კოლეგების შევიწროების ხარჯზე¹²⁶.

2013 წლის საკანონმდებლო რეფორმით (სასამართლო რეფორმის პირველი ტალღა) დაიშალა იუსტიციის უმაღლესი საბჭო და ამოქმედდა საბჭოს არჩევის ახალი წესი: კერძოდ საბჭოს 8 მოსამართლე წევრი შეირჩეოდა მოსამართლეების მიერ ფარული კენჭისყრით (კანდიდატის თავისუფალი დასახელების უფლებით), 5 წევრი შეირჩეოდა საქართველოს პარლამენტის, ხოლო 1 წევრი პრეზიდენტის მიერ.

ხელისუფლებას ჰქონდა ვარაუდი, რომ არჩევნების მეშვეობით სასამართლო ხელისუფლებაში მმართველობას ხელში აიღებდა მოსამართლეთა ის ჯგუფი, რომელიც არ იყო აფილირებული მმართველობაში მყოფ კლანებთან¹²⁷. ქართული ოცნების ხელისუფლებას ასევე ჰქონდა იმედი რომ მოახერხებდა სასამართლო სისტემის გათავისუფლებას დისკრედიტირებული მოსამართლეებისგან (მათ შორის დისციპლინური ღვეზის, უფლებამოსილების ვადების ამოწურვის, გამოსაცდელი ვადების

¹²⁶ იხ. Michal Bobek & David Kosař, Global Solutions, Local Damages: A Critical Study in Judicial Councils in Central and Eastern Europe, 2014. <https://www.cambridge.org/core/services/aop-cambridge-core/content/view/CDEF5A8EA2FEA3FE4B843060F145A4B2/S2071832200019362a.pdf/global-solutions-local-damages-a-critical-study-in-judicial-councils-in-central-and-eastern-europe.pdf>

იხ. იქვე: “Granting extensive self-administration powers to the judiciary before genuine internal reform is dangerous. In a better scenario, the new institution will be a somewhat empty shell for a few years or decades to come. In a bad case scenario, which unfortunately appears more frequently, behavior and patterns start emerging which are very distant from anything the model was supposed to deliver: Individual judicial independence and impartiality is not only unprotected, it may be suppressed by judicial bosses. To speak of efficiency, quality, or transparency—other values apart from the judicial independence the system promised to deliver—would amount to idealism bordering on naivety“. იქვე სლოვაკეთის მაგალითი: the Slovak Judicial Council, created following the best practices of the Euro-model, has turned gradually into a “mafia-like” structure of intra-judicial oppression, run in the name of “judicial independence” by judges who started their judicial careers in the communist period. <https://www.cambridge.org/core/services/aop-cambridge-core/content/view/CDEF5A8EA2FEA3FE4B843060F145A4B2/S2071832200019362a.pdf/global-solutions-local-damages-a-critical-study-in-judicial-councils-in-central-and-eastern-europe.pdf>

¹²⁷ იხ. თვა წულუკიანის განცხადება: მოსამართლეებს ეძლევათ ისტორიული შანსი, გათავისუფლდნენ როგორც კუბლაშვილის, ასევე მეიშვილის, ჩინჩალაძის, ანუ ხელმძღვანელობის დიქტატისგან. <https://www.ambebi.ge/article/79353-ra-pretenziebi-hkonda-culukians-kbilashvilisadmi/>

დაწესების მეშვეობით)¹²⁸. 2012-13 წლებში დაანონსებული სასამართლო რეფორმის ტალღა გაიწვია, მათ შორის კანონპროექტების ვენეციის კომისიაში გადაგზავნით, რითაც სასამართლოს მმართველ ძალას მიეცა დრო მოეხდინა არჩევნებისთვის მობილიზება. მოსამართლეთა კონფერენციის არჩევნებზე მათთვის პრაქტიკულად უკვე წინასწარ ცნობილი იყო მოსამართლეთა ხმების განაწილება¹²⁹.

2013 წლის ივნისის არჩევნებში მოსამართლეთა კონფერენციამ კლანის მიერ დასახელებულ კანდიდატებს დაუჭირა მხარი. ადგილები განაწილდა მიხეილ ჩინჩალაძის (შოთა გეწაძე, ილონა თოდუა, ლევან მურუსიძე, პაატა სილაგაძე), ვალერი ცერცვაძის (მერაბ გაბინაშვილი, თამარ ალანია), კოტე კუბლაშვილის (ზამზა მეიშვილი) ფავორიტ კანდიდატებს შორის.

აღნიშნული რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული, მათ შორის სახელისუფლებო რიგორიკით მოსამართლეების პასუხისმგებლობის და სასამართლო კორპუსის წმენდის თაობაზე¹³⁰, რამაც გამოიწვია მოსამართლეთა შეკავშირება იმ გუნდის ირგვლივ, რომელიც მათ პირდებოდა დაუსჯელობას¹³¹, გადანიშნას და უსაფრთხოების გარანტიებს¹³².

¹²⁸ იხ. თეა წულუკიანი: "როდესაც ამაზე ვასუბრობთ ვეჯახებით პრინციპს, რომელიც უნდა მეფობდეს ყველა ქვეყანაში, ეს არის მოსამართლის უცვლელობის პრინციპი. დემოკრატიულ ქვეყანაში საერთოდ არაფერია უფრო კეთილშობილური, ვიდრე მოსამართლეობა. ამიტომ მოსამართლეებს ვერ შევეხებით. მე მათ მოვეწოდე საკუთარ სინდისთან დარჩენენ. ბევრჯერ ვთქვი და კიდევ ვიყვირებ, ისეთ ადამიანებს როგორებიც არიან გიორგი ჩემა, ნაირა გიგიგაშვილი, ლევან თევზაძე, დავით კეკელიძე, ესენი ჩემს თვალში არ არიან მოსამართლეები, მათ არ შეიძლება ეხაროთ ადამიანების ბედი, მაგრამ ისე ქნა ბედის უკუღმართობამ, რომ მათ მოსამართლეები ჰქვიათ და მოსამართლის უცვლელობის პრინციპი მოქმედებს. ჩვენ მოვიფიქრებთ მექანიზმებს, როგორ მოვუაროთ ამ პრობლემას, მაგრამ წინასწარ დაწერილი მექანიზმი არ არის, ეს არის ურთულესი პრობლემა" <http://liberali.ge/articles/view/2708/tea-tsulukianis-prioritetebi>

¹²⁹ ამას ირიბად ადასტურებს კოტე კუბლაშვილის განცხადება რომ მოსამართლეებმა იცოდნენ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა, ამიტომ კანდიდატებისთვის შეკითხვების დასმა არაფერს შეცვლიდა: <https://www.youtube.com/watch?v=BJrAgQumT6s&t=714s> მე-14 წუთზე.

¹³⁰ იხ. მაგ. თეა წულუკიანის განცხადება, 2013 წლის ივნისი: „ამის შემდეგ, იუსტიციის საბჭოს ახალ შემადგენლობასთან ერთად ჩვენ დავინყებთ სადისციპლინო პროცედურების რეფორმას. სამომავლოდ, თუ ხარვეზების კომისია ამა თუ იმ ძალაში შესულ განაჩენზე დაადგენს სამართლებრივ ხარვეზს და ამას დაამტკიცებს სასამართლოც, შემდგომ სწორედ სადისციპლინო კოლეგიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, არის თუ არა ღირსი მოსამართლეობისა ის ადამიანი, ვინც ეს ხარვეზი დაუშვა.“

¹³¹ იხ. აგრეთვე მერაბ გურავა: "მოსამართლეთა ორი მესამედი არის წინა ხელისუფლების დავალებების შესრულებით აბსოლუტურად დისკრედიტებული. მათ ისეთ იუსტიციის საბჭოს დაუჭირეს მხარი, რომელიც მოსამართლეებს დაიცავს და წინა ხელისუფლების პირობებში ჩადენილ მათ დარღვევებს ფარდას არ ახდის", - <https://for.ge/view/76087/merab-turava---mosamarTleTa-ori-mesamedi-diskreditebulia.html>

აღსანიშნავია ის, რომ კლანმა შეასრულა კიდევ მიცემული დაპირება რაც გამოიხატა ნანილობრივ იმით რომ 2014-15 წლებში დისციპლინურ საქმეთა არსებითი განხილვა მთლიანად გაჩერდა, ხოლო შემდგომ წლებში განხილული საქმეების რაოდენობა მთლიანობაში 12 -ს არ აღემატება. იხ. www.dci.court.ge

¹³² იხ. ინტერვიუ ყოფილ მოსამართლესთან „სამწუხაროდ, უმრავლესობის არჩევანი გაკეთდა სწორედ ჩინჩალაძემურუსიძის ჯგუფზე. იმ საბჭოს შექმნაში, რომელმაც შემდგომ ეს ყველაფერი მოიმოქმედა, ფაქტობრივად, ჩემი და ბევრი ჩემნაირის წვლილიც არის. ეს ჯგუფი ძალაუფლების სათავეში მარტივად მოექცა, რადგან ისინი მოსამართლეთა მეორე ნაწილის შესახებ ამბობდნენ, რომ მათ არაფერი განუხილავთ ისეთი, არ ჰქონდათ პრობლემები და ისინი თქვენ ვერ დაგიცავენო. ისინი მოსამართლეებს ეუბნებოდნენ: „დავალბებს ვიდლოდით ჩვენ - თქვენ ასრულებდით, ამიტომ ჩვენ თუ გავალთ, ჩვენვე დაგიცავთო.“ ფაქტობრივად, დანაშაულის შეგრძნებამ შეკრა სასამართლო და მივიღეთ ის საბჭო და ის სასამართლო, რაც მივიღეთ. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ხელისუფლებამ, რომ ამ ჯგუფთან ჰქონოდათ კავშირი.“ საერთაშორისო გამჭვირვალობა, კორუფციის რისკები სასამართლოში, 2018, https://www.transparency.ge/sites/default/files/corruption_risks-geo.pdf გვ. 45 იხ. აგრეთვე ინტერვიუ კახი კახიშვილთან: „კახიშვილი აღნიშნავს, რომ კონფერენციამდე კოტე კუბლაშვილი მოსამართლეებს ხვდებოდა და აშინებდა მათ, რომ თუ მისთვის სასურველ კანდიდატებს არ დაუჭერდნენ მხარს, მათ იმ უკანონო გადაწყვეტილებებზე მოუწევდათ პასუხისმგება, რაც წლების განმავლობაში აქვთ გამოგანილი“. <https://for.ge/view/23264/mosamarTleTa-konferenciaze-ocnebas-nacionalebma-penalti-daurtyes.html>

სასამართლო რეფორმის თავდაპირველ სტადიაზე ქართული ოცნება დაპირისპირებული იყო მოსამართლეთა იმ ჯგუფთან რომლის ხელშიც მოექცა ყველა სამოსამართლო ვაკანსია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ეს დაპირისპირება გამოიხატებოდა კონკრეტულ საკანონმდებლო ინიციატივებში და იღებში¹³³, ასევე საკადრო პოლიტიკაში¹³⁴ ასევე საჯარო განცხადებებში¹³⁵.

2015 წლიდან ხელისუფლებასა და კლანს შორის დაპირისპირება მკვედრად შეიცვალა და საბოლოო ჯამში გაქრა. იცვლება ხელისუფლების რიგორიკა კლანთან მიმართებაში¹³⁶, ასევე იცვლება კანონები

¹³³ მაგ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაშლა და ნევრობის ვადამდელი შეწყვეტა, სასამართლოს თავმჯდომარეთა არჩევითობის შესახებ ინიციატივა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ფუნქციების შეკვეცა, ასევე კომერციული პალატის შექმნა, რომელშიც მოსამართლეები შეირჩეოდნენ განსხვავებული წესით და სხვ.

¹³⁴ მაგ. 2013-15 წლებში უზენაეს სასამართლოში გამწვანდნენ კლანთან არააფილირებული მოსამართლეები: ნინო გვენეტაძე, ეკა გასიტაშვილი, ნინო ბაკაძე, ზურაბ ძლიერიშვილი.

¹³⁵ იხ. მაგ. თეა წულუკიანის განცხადება: „იქ არსებობს გარკვეული დაჯგუფებები, ეს მთლიანობაში არის სისტემა, რომელიც როგორც ამას სამი წელია ვამბობ, რეფორმებისადმი არის რეზისტენტული. <https://www.youtube.com/watch?v=QLnRzXylzAE> 9:52 წუთზე. იხ. იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადება – „სამოგადოებამ კარგად უნდა გაიგოს, რომ ამ ხალხს ათავისუფლებს კუბლაშვილის სასამართლო და არა პროკურატურა“. <https://for.ge/view/18992/Tea-wulukiani-sazogadoebam-kargad-unda-gaigos-rom-am-xalxs-aTavisuflebs-kublaSvilis-sasamarTlo-da-ara-prokuratura.html> ; ბიძინა ივანიშვილი: „შეგაელენაში მყოფი სასამართლო ცდილობდა ხელი შეეშალა

ახალი ხელისუფლებისა და მთავრობისათვის, ეს იყო პირველ ეტაპზე“ – <https://www.youtube.com/watch?v=IKsyRpHjvA&feature=youtu.be&t=101> იხ. კახი კახიშვილის განცხადება „არ უნდა დავუშვით ისეთი ვითარების ჩამოყალიბება, როცა სასამართლო ჯერ ერთ ხელისუფლებას ემსახურებოდა, ხოლო ახლა სიამოვნებით მოემსახურება მეორე ხელისუფლებას. სულ არა ვარ დარწმუნებული, რომ ის მოსამართლეები, რომლებიც წინა ხელისუფლებას ემსახურებოდნენ, ახლა იგივეს ახალი ხელისუფლების სასარგებლოდ გაკეთებას არ შეეცდებიან. ამ საკითხებში ძალიან მნიშვნელოვანია თავად ახალი ხელისუფლების პრინციპულობა. ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ სასამართლო სისტემა რაც შეიძლება მალე გათავისუფლდნენ ასეთი მოსამართლეებისაგან“, <https://www.interpressnews.ge/ka/article/242245-kaxa-kaxishvili-9-ivniss-gairkveva-gveqoleba-tu-ara-damoukidibeli-sasamartlo/> ნუკრი ქანთარის განცხადება: “მათი სახელები უკვე იმდენად არის ნეგატივში გახვეული სამოგადოებისთვისაც, სამი ბავშვი მაინც უნდა გადაარჩინონ, რომ ავტორიტეტი აღიდგინონ სამოგადოებაში“, <https://www.interpressnews.ge/ka/article/542873-nukri-kantaria-konkretuli-mosamartleebi-ise-arian-negativshi-gaxveuli-sami-bavshvi-mainc-unda-gadaarchinon-rom-sazogadoebashi-avtoriteti-agidginon/> იხ. აგრეთვე თეა წულუკიანის განცხადება: „ჩემი პოზიცია ლევან მურუსიძის არჩევასთან დაკავშირებით არის ის, რაც იყო 3 დეკემბერს, ასევე 7 დეკემბერს, მე არ დამიწყია ყვირილი მას შემდეგ, რაც სახლი დაიწვა, მე ყვირილი დავიწყე უფრო ადრე და თავად ლევან მურუსიძეს მოვუწოდე, რომ მიეღო სწორი გადაწყვეტილება, უკან გაეგანა თავისი საკონკურსო განაცხადი“

<https://tabula.ge/ge/news/581804-culukiani-murusidzes-adreve-movucode-ukan-gaetana>

¹³⁶ იხ. ბიძინა ივანიშვილის განცხადება, 2013 წლის ივლისი: „კუბლაშვილთან ერთად დღეს პირველად შეეხვები ბატონ ლევან მურუსიძეს, რომელიც გახლავთ იუსტიციის საბჭოს მდივანი. დავრწმუნდი კიდევ ერთხელ, რომ სასამართლოში არის ძალიან ბევრი ჯანსაღი, ძალიან ბევრი პროგრესული კადრი“ <https://netgazeti.ge/news/23647/>

კლანის სასარგებლოდ¹³⁷. ასევე შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე არამოსამართლე წევრის პოლიტიკა - თუ 2015 წლის ივნის-ივლისამდე ისინი დაპირისპირებაში იყვნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებთან, ამ პერიოდის შემდეგ მათ შორის დაპირისპირება გაქრა. უფრო მეტიც იმავე წელს მათ მხარი დაუჭირეს კლანის ლიდერების - ლევან მურუსიძის და მიხეილ ჩინჩალაძის მოსამართლეებად გადანიშვნას¹³⁸.

2015 წელს შემდეგ შედგა გარკვეული სამხსრივი გარიგება ხელისუფლებას, კლანს და მოსამართლეებს შორის. ამ გარიგების შედეგად ხელისუფლებამ მიიღო კონგრული მისთვის საინტერესო საქმეებზე, კლანმა მიიღო ძალაუფლება ხოლო მოსამართლეებმა მიიღეს გარანტიები რომ ისინი გადაინიშნებოდნენ უვადოდ, ხოლო ის მოსამართლეები, რომლებმაც პირდაპირ უარი განაცხადეს კლანთან თანამშრომლობაზე აღმოჩნდნენ სისგემის გარეთ.

მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა გამარჯვება მოიპოვეს მოსამართლეთა კონფერენციის ყველა არჩევნებზე (2013, 2017, 2021 წლები). ამასთან, თუ 2021 წლამდე, ფორმალურად მაინც არსებობდა კანდიდატთა შორის კონკურენცია, 2021 წელს ეს კონკურენციაც გაქრა: მოსამართლეთა კონფერენციამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (291 დამსწრე მოსამართლიდან 275-281 ხმა) ოთხ ვაკანტურ ადგილზე აირჩია ოთხი კანდიდატი, რომელთაც კონკურენტი არ ჰყოლიათ¹³⁹.

2015-2018 წლებში ქართულმა ოცნებამ აირჩია სტრატეგია, რომლითაც ის გაემიჯნა დისკრედიტირებული მოსამართლეების უვადო დანიშვნის პროცესს და განაცხადა რომ არ მოსწონს

¹³⁷ იხ. კახა ნიქარიშვილი, კლანური მმართველობა სასამართლოში 2007 წლიდან დღემდე პარლამენტმა უარი თქვა თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტაზე და თავმჯდომარეების არჩევითობაზე (სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის პაკეტი); სასამართლოს თავმჯდომარეებს კვლავ მიეცათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის შესაძლებლობა (სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის პაკეტი); ხელისუფლებამ საბოლოოდ უარი თქვა მართლმსაჯულების ხარვეზების კომისიის შექმნის შესახებ კანონპროექტის განხილვა-დამტკიცებაზე, რომელსაც შედეგად შეიძლებოდა მოჰყოლოდა პოლიტიკური დავალებების შემსრულებელი მოსამართლეების მხილება და დასჯა; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის უფლებამოსილება ჩამოერთვა საქართველოს პრეზიდენტს და გადაეცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებით). „იხ. აგრეთვე საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიში, კორუფციის რისკები სასამართლოში-2017: მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ კანონპროექტის განხილვის დასკვნით ეტაპზე, მოულოდნელად, პროცედურული ხარვეზებით შეტანილი იქნა შესწორება, რომლითაც განისაზღვრა უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების ყოფილი მოსამართლეების გამოსაცდელი პერიოდის გარეშე უვადოდ გამწესების შესაძლებლობა. აღნიშნულმა ცვლილებებმა გააჩინა ეჭვი, რომ ხელისუფლება სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდა, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში ეწურებოდა უფლებამოსილების ვადა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძეს, რომელიც სასამართლო სისტემაში ყველაზე გავლენიან პირად მიიჩნევა. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, 2017 წლის 11 მაისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიხეილ ჩინჩალაძე დახურული გასაუბრების შედეგად უვადოდ დანიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ“

¹³⁸ რაც სავარაუდოდ ზოგიერთი მათგანისთვის გარკვეულ ბონუსებთან იყო დაკავშირებული, მაგ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ევა გოცირიძე 2017 წლის პირველ დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დანიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. ზოგიერთი ექსპერტის აზრით 2015 წლიდან ხელისუფლების პოზიციის ცვლილება კლანის მიმართ ასევე უკავშირდებოდა მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს, სადაც ხელისუფლებას ჩირადებოდა სასამართლოს მხრიდან მხარდაჭერა

¹³⁹ <https://for.ge/view/42168/lia-muxaSavria-ocnebas-murusiZe-2016-wlis-arCevnebis-gasayalbeblad-sWirdeba.html>

¹³⁹ <https://formulanews.ge/News/50998>

ეს პროცესი, თუმცა ვინაიდან სასამართლო სისტემა დამოუკიდებელია ის არ ერევა სასამართლოს შიდა საქმეებში¹⁴⁰.

2019 წლიდან ქართულმა ოცნებამ წამოიწყო ახალი კამპანია რომლის თანახმად მოსამართლეები რომლებიც წარსულში ჩადიოდნენ ცულ საქმეებს გამოსწორდნენ და ახლა ჩადიან კარგ საქმეებს.¹⁴¹ ასევე კამპანია, რომ მოსამართლეების მიერ წარსულში ჩადენილი დარღვევები იყო უფრო მეტად სისტემის და არა ამ მოსამართლეების ბრალი¹⁴², რომ მოსამართლეები წინა ხელისუფლების ბეწოლებს ვერ აღიარებენ, რადგან ეს იქნება მათთვის დისკომფორტი¹⁴³.

პარალელურად ჩერდება ან წყდება მოსამართლეების წინააღმდეგ დაწყებული გამოძიებები (მაგ. მამია ფხაკაძის, რევაზ ნადარაიას, გიორგი მიქაუტაძის, ბადრი შონიას)¹⁴⁴ წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის საქმეები¹⁴⁵. თაროზე იქნა შემოდებული „საკვალიფიკაციო ტესტების გაქონვის“ საქმის (2015 წელი) გამოძიება.

მას შემდეგ რაც ხელისუფლებამ მიიღო გარკვეული გარანტიები, 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენის უფლებამოსილება საქართველოს პრეზიდენტიდან გადაეცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

¹⁴⁰ იხ. ინტერვიუ თეა წულუკიანთან: „რაც შეეხება ბაგონ ლევან მურუსიძის გამუდმებულს, სრულიად სწორად ბრძანა, რომ არც მანამდე მომწონდა მისი მოსამართლეობა და მით უმეტეს, არ მომწონს მისი გამუდმებულობა, თუ ვინმე შეკითხვა ჩემს სუბიექტურ, მოქალაქისა და მინისტრის ამრს.“

მან ასევე მართალი ბრძანა, როდესაც თქვა, რომ ქართული კონსტიტუციური მოდელი გულისხმობს განსხვავებულ პრინციპს, ვიდრე ეს არის ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში. ჩვენთან იუსტიციის მინისტრი არ არის არავითარ კავშირში იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან. ეს არის დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანო და მე არ გახლავართ ის მინისტრი, რომელიც ცდილობს, კონსტიტუცია დაარღვიოს და აკონტროლოს მოსამართლეები“
<http://liberali.ge/articles/view/42257/tsulukiani-murusidzeze-ar-momtsonda-misi-mosamartleoba-da-mit-umetes-ar-momtsons-gamudmiveba>

¹⁴¹ იხ. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება - იმ მოსამართლემ, რომელმაც ჩემი ოჯახის წევრი გაასამართლა, შემდეგ სააკაშვილი გაასამართლა - თუ აღამიანი გულწრფელად აჩვენებს სინანულს, რთული საკითხია, არ მივეცეთ გამოსწორების შანსი

<https://www.interpressnews.ge/ka/article/562431-irakli-garibashvili-im-mosamartlem-romelmac-che-mi-ojaxis-cevri-gaasamartla-shemdeg-saakashvili-gaasamartla-tu-adamiani-gulcrpelad-achveneb-sinanuls-rtuli-sakitxia-ar-mivcet-gamoscorebis-shansi/> ირაკლი კობახიძის განცხადება: „აღამიანები, რომლებიც მასობრივად ჩადიოდნენ ცულ რაღაცებს, ახლა ჩადიან კარგ რაღაცებს“
<https://tabula.ge/ge/news/619462-kobakhidze-mosamartleebi-romlebits-tsud>

¹⁴² იხ. ბიძინა ივანიშვილის განცხადება: “სისტემის მსხვერპლი გახლდათ გირგვლიანი და არა ისე, როგორც დღეს ხაგავენ, რომ ეს ლამის თავიდან ბოლომდე მურუსიძის გაკეთებული იყო, იმხელა აქიოტაქია აწეული,“ - განაცხადა მან.

<https://netgazeti.ge/news/88222/> იხ. აგრეთვე ბიძინა ივანიშვილის განცხადება: „მთელი სასამართლო იყო ტყვე“ - shorturl.at/bnRZ4

¹⁴³ <https://www.facebook.com/kakha.tsikarishvili/videos/575135380255105>

¹⁴⁴ როგორ დაიმორჩილო მოსამართლე - <https://www.facebook.com/radiotavisupleba/posts/10156904136972360/>

¹⁴⁵ პროკურატურა დღემდე უარს ამბობს გაასაჯაროოს ინფორმაცია თუ 2013 წლიდან დღემდე რამდენი მოსამართლე იქნა დაბარებული გამოკითხვაზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ან რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება რომელიც უკავშირდება მოსამართლის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენას.
https://idfi.ge/ge/joint_statement_on_investigation_and_prosecution_against_judges სავარაუდოდ ამის მიზეზი არის ის, რომ პროკურატურამ გამოძიება დაიწყო მოსამართლეთა დიდი რაოდენობის წინააღმდეგ, ხოლო კლანთან გარიგების შემდეგ დაწყებული გამოძიებები შეაჩერა ან შეწყვიტა.

უფრო მეტიც, კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე (კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტი) რითაც სამოსამართლო კორპორატივიმს გაუჩნდა მყარი ნორმატიული საფუძველი.

2017 წლიდან კლანისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე წევრის არჩევით საქართველოს პარლამენტმა კლანს მისცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონგრულის სრული შესაძლებლობა.¹⁴⁶

კლანური ძალაუფლების შენარჩუნებასა და გამტკიცებას ხელი შეუწყო ასევე იმ ფაქტმაც რომ გამოძიებული არ იქნა მოსამართლეებზე ბეწოლის არც ერთი ფაქტი (მოხდა პირიქით – ბეწოლის განმახორციელებელი პირები დაწინაურდნენ). ასევე არ განხორციელდა წინა ხელისუფლების დროს კლანის მიერ დევნილი ურჩი მოსამართლეების დიდი ნაწილის რაიმე სახის რეაბილიტაცია.

საბოლოო ჯამში ქართული ოცნების მმართველობის 9 წლის თავზე მივიღეთ არა თვისობრივად შეცვლილი სასამართლო არამედ წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი მორჩილი სისტემა, რომელზეც მართალია პოლიტიკური ბეწოლის მასშტაბები შემცირებულია, მაგრამ სახეზეა იგივე ფიგურანტებით, იმავე ზეგავლენის არხები რომლებიც მზად არიან სახელისუფლებო დაკვეთების შესასრულებლად.

¹⁴⁷

¹⁴⁶ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად უნდა აირჩიოს პირი, რომელსაც აქვს მაღალი რეპუტაცია და რომელიც სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია. აღნიშნული კრიტერიუმი სუბიექტურად განიმარტება, ვინაიდან გაუგებარია რომელი დარგის სპეციალისტს წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი ყოფილი წევრი. მხედველობაშია მისაღები ის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესარჩევ კონკურსში მონაწილეობდნენ სამართლის ცნობილი პროფესორები, მაგ. ირაკლი დვალიძე, შალვა ქურდაძე, მარინა კვაჭაძე, პაატა გურაფა და სხვები, რომლებსაც საქართველოს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა.

¹⁴⁷ აღნიშნულის აღიარებაა ბიძინა ივანიშვილის სიტყვები:– ალექსანდრის სისტემა შევინარჩუნეთ და მას მივეცით საშუალება თვითგადარჩენის და თვითგაწმენდის...

მთელი სასამართლო იყო გყვე. მოსამართლეების შეცვლა ჩვენ არ შეგვეძლო, არ გვექნა სხვა გზა და ვფიქრობ, ერთადერთი სწორი გზა ავირჩიეთ, რომ ჩვენ არ ჩავერიეთ და თვითონ სასამართლო იბრძვის, რომ თავის თავი გადაირჩინოს”,

<https://www.timer.ge/chemthvis-samarckhvino-ikho-rom-shalva-shavgulidzem-gigi-ugulava-politpatim-rad-daasakhela/> -

